ახალი განათლება

2009 წელი, 17 - 23 დეკემბერი

ფასი 90 თეთრი

№39 (473) გამოდის 1998 წლიდან

ტროპარი წმინდა ბარბარესი

ქალწულებითა განშვენებულო და წამებითა გაბრწყინვებულო,
სასწაულთა მოქმედო, სენთა და ბუგრთა მკურნალო,
დიდო ქალწულმოწამეო ბარბარე, მეოხ გვეყავ ჩუენ ცოდვილთა.

„საჯარო ფიქრი“ ქართულ იდეაზე
გვერდი 4-5

იგავი თავკერძობის შესახებ
გვერდი 5

ძველი მოზარდები
უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა მოზარდობის ასაკში
გვერდი 6

მინდა, ჩემი კლასი ყველაზე მეგობრული და შეკრული იყოს
გვერდი 7

სკოლა კი არა - ძეგლი მეტყველი
გვერდი 9

„ახალი განათლების“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

2010 წლის ხელმოწერის მსურველებმა
ერთწლიანი ხელმოწერის თანხა – 36 ლარი ან
6-თვიანი ხელმოწერის თანხა –
21 ლარი 60 თეთრი უნდა გადმორიცხონ
იანვრის ბოლომდე.

ჩვენი რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკის
ცენტრალური ფილიალი
ს/კ 202058735; ბ/კ 220101502; ა/ა 123631000

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

გთავაზობთ ინფორმაციას 2010 წლის სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტური ქიმიაში

2010 წლის ეროვნული სასაწავლო ოლიმპიადა ქიმიაში 2 ასაკობრივ ჯგუფში (X და XI-XII კლასების მოსწავლეთათვის) სამ ტურად ჩატარდება.

ოლიმპიადის მიზანია გამორჩეული ცოდნითა და ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მათი წახალისება და სასწავლო პროცესის სტიმულირება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული შინაარსის ამოცანების ამოხსნა.

I ტური შესარჩევია. მაქსიმალურია 25 ქულა. შემდეგ ტურში მონაწილეობას მიიღებენ 1-200 ადგილებზე გასული მონაწილეები, რომლებიც 13-ქულიან ზღვარს გადალახავენ.

ქიმიის პროგრამა ოლიმპიადის I ტურისთვის შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.naec.ge/files/1424_2010-olimpiada-Qimia-programa-I-turi.pdf

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტური ბიოლოგიაში

2010 წლის ეროვნული სასაწავლო ოლიმპიადა ბიოლოგიაში 3 ასაკობრივ ჯგუფში (IX, X და XI-XII კლასების მოსწავლეთათვის) სამ ტურად ჩატარდება.

ოლიმპიადის მიზანია გამორჩეული ცოდნითა და ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მათი წახალისება და სასწავლო პროცესის სტიმულირება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული შინაარსის ამოცანების ამოხსნა.

I ტური შესარჩევია. მაქსიმალურია 25 ქულა. შემდეგ ტურში მონაწილეობას მიიღებენ 1-200 ადგილებზე გასული მონაწილეები, რომლებიც 13-ქულიან ზღვარს გადალახავენ.

ბიოლოგიის პროგრამა ოლიმპიადის I ტურისთვის შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.naec.ge/files/1426_2010-olimpiada-Biologia-programa.pdf

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტური ფიზიკაში

2010 წლის ეროვნული სასაწავლო ოლიმპიადა ფიზიკაში 3 ასაკობრივ ჯგუფში (IX, X და XI-XII კლასების მოსწავლეთათვის) სამ ტურად ჩატარდება.

ოლიმპიადის მიზანია გამორჩეული ცოდნითა და ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მათი წახალისება და სასწავლო პროცესის სტიმულირება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული შინაარსის ამოცანების ამოხსნა.

I ტური შესარჩევია. მაქსიმალურია 25 ქულა. შემდეგ ტურში მონაწილეობას მიიღებენ 1-200 ადგილებზე გასული მონაწილეები, რომლებიც 13-ქულიან ზღვარს გადალახავენ.

ფიზიკის პროგრამა ოლიმპიადის I ტურისთვის შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.naec.ge/files/1441_2010-olimpiada-Fizika-programa-I-turi.pdf

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის განათლების მუშაკებს სადაზღვევო ვაუჩერები გადასცა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კასპის რაიონის საჯარო სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს სადაზღვევო ვაუჩერები გადასცა. დიმიტრი შაშკინი სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლას ეწვია და განათლების ადგილობრივ მუშაკებს პირადად განუმარტა დაზღვევის პირობები. მინისტრის თქმით, თითოეულ ბენეფიციარს მომავალი წლის განმავლობაში 25 ათას ლარამდე უფასო სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა ექნება. რაც ყველაზე მთავარია, განათლების მუშაკები სადაზღვევო კომპანიის არჩევანში თავისუფლები არიან. დიმიტრი შაშკინი ადგილობრივ პედაგოგებს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზეც ესაუბრა.

საჯარო სკოლის მასწავლებლები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და სხვა სასწავლებლების პედაგოგები სადაზღვევო ვაუჩერის მიღების შემდეგ, სასურველ სადაზღვევო ორგანიზაციას 2009 წლის 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეარჩევენ. ექვსწლიანი სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში 83 ათასამდე ბენეფიციარისთვის 2010 წლის ბიუჯეტში 19 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული (თითოეულ პედაგოგზე თვეში 15 ლარის ოდენობით).

IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აცხადებს კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი:

სრული პროფესორი: 17 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი: 7 ვაკანსია

ასისტენტ-პროფესორი: 13 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: ბიზნესი; მენეჯმენტი; მარკეტინგი; ფინანსები და საბანკო საქმე; ბუღალტერია; სტატისტიკა; მათემატიკა

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

სრული პროფესორი: 14 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი: 9 ვაკანსია

ასისტენტ-პროფესორი: 9 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: ეკონომიკა; პოლიტიკური მეცნიერებები და საერთაშორისო ურთიერთობები; სამართალი; სოციოლოგია; კვლევის მეთოდები

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

სრული პროფესორი: 6 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: ამერიკის მასმედია; ქართული ენა; ამერიკის კულტურა და მულტიკულტურული სწავლება; ამერიკის კულტურა და საზოგადოება; ამერიკელ ქალთა ისტორია; ამერიკელ ქალთა კვლევები; საქართველოს ცივილიზაციის ისტორია; მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია; ამერიკის ეკონომიკა; ამერიკის ისტორია

ასოცირებული პროფესორი: 3 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: საქართველოს ცივილიზაციის ისტორია; ამერიკის პოლიტიკა; კვლევის მეთოდები; თურქული ენა

ასისტენტ-პროფესორი: 2 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: ამერიკის გეოგრაფია; ამერიკული რომანი

განათლების ფაკულტეტი:

სრული პროფესორი: 1 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: განათლება/ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა/ლიტერატურა

ასოცირებული პროფესორი: 5 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: რუსული ენა; ფრანგული ენა; განათლება/ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა/ინგლისური ენა

ასისტენტ-პროფესორი: 5 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: თურქული ენა; განათლება/ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა/ინგლისური ენა

მკვლევარი ასისტენტი – 1 ვაკანსია

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი:

სრული პროფესორი: 7 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: მათემატიკა; სტატისტიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; კომპიუტერული პროგრამირება და პროგრამული უზრუნველყოფა; მონაცემთა ბაზის სისტემები; ვებ-დიზაინი; წარმოების პროცესების დაგეგმარება და გამოყენებები; ზოგადი საინჟინრო დისციპლინები.

ასოცირებული პროფესორი: 7 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: მათემატიკა; სტატისტიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; კომპიუტერის საფუძვლები და პროგრამული უზრუნველყოფა; კომპიუტერული პროგრამირება და პროგრამული უზრუნველყოფა; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა; წარმოების პროცესების დაგეგმარება და გამოყენებები; წარმოების პროცესის კონტროლი და დაგეგმვა; პროექტირების ავტომატიზირებული და წარმოების სისტემები.

ასისტენტ-პროფესორი: 6 ვაკანსია

შემდეგ სპეციალობებში: მათემატიკა; სტატისტიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; კომპიუტერის საფუძვლები და პროგრამული უზრუნველყოფა; კომპიუტერული პროგრამირება და პროგრამული უზრუნველყოფა; ვებ-დიზაინი; კომპიუტერული ქსელები; წარმოების პროცესის დაგეგმარება და გამოყენებები.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ფოტოსურათი
2. დიპლომის ასლი
3. განცხადება
4. პუბლიკაციების ქსეროასლი

საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2010 წლის 18 იანვარი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 59 50 05 (131)

საკონტაქტო პირი: პრორექტორი, პროფ. დოქტ. ნათელა დოღონაძე

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა V საანგარიშო ყრილობა

2009 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა მე-5 საანგარიშო ყრილობა გაიმართა, რომელსაც 100000 მასწავლებლის სახელით 300-მდე დელეგატი და მოწვეული სტუმარი ესწრებოდა: საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინა ძურდაძე, სამინისტროს რეგიონალური კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ჟურული, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციისა და მესამე სექტორის წარმომადგენლები. ყრილობის თავმჯდომა- რეზოლუციის სრულ ტექსტს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის V საანგარიშო ყრილობის

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თვისუფალი პროფკავშირის V საანგარიშო ყრილობა აღნიშნავს იმ მიღწევებს, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში. სპმთპ-ის პრინციპული პოზიციის დამსახურებაა, რომ განათლების სისტემაზე შედარებით უმტკივნეულოდ აისახა რეფორმის განხორციელების პროცესში დაშვებული მძიმე შეცდომები და, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, შესაძლებელი გახდა მასობრივი უმუშევრობის თავიდან აცილება.

დრაკონული შრომის კოდექსის პირობებშიც კი, განათლების მუშაკები შედარებით უკეთ არიან დაცული სამუშაო ადგილზე და ესეც მათი პროფესიული კავშირის დამსახურებაა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმ მიღწევათა შესახებ, რაც სპმთპ-ის აქტიური და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად იქნა მოპოვებული განათლებისა და მეცნიერების სისტემაში. კერძოდ: გაიზარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერის ოდენობა, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა საჯარო სკოლის პედაგოგთა შრომის ანაზღაურება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა, განხორციელდა საჯარო სკოლაში დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზღვევა სახელმწიფოს მიერ, პედაგოგებს შეუნარჩუნდათ 48-დღიანი შვებულება, მინიმუმამდე შემცირდა მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, გაუმჯობესდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ.

მოისმინა რა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში დღემდე არსებული პრობლემების შესახებ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის V საანგარიშო ყრილობა აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა კონსტიტუციური უფლების – *მიიღონ ხარისხიანი განათლება* – უზრუნველყოფისათვის აუცილებელია, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში განათლების ხვედრითი წილი გაიზარდოს ხუთ პროცენტამდე და ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა:

ზოგადი განათლების სფეროში:

ა) პედაგოგებს მიეცეთ შრომის სამართლიანი ანაზღაურება;

ბ) შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის საჯარო სკოლის დაფინანსების მოქმედი პრინციპით გამოწვეულ დადებით და უარყოფით შედეგებს. შემუშავდეს დაფინანსების ისეთი ფორმულა, რომელიც რეალურად ასახავს საჯარო სკოლების საჭიროებებს;

გ) გაუქმდეს ე.წ. „კლასკომპლექტები“ და ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ბავშვისათვის;

დ) სახელმწიფომ უზრუნველყოს საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების აღჭურვა სათანადო ლიტერატურით;

ე) გაიზარდოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა და ყველა მასწავლებელს მიეცეს შესაძლებლობა, მოემზადოს სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის;

ვ) სახელმწიფომ უზრუნველყოს სასერტიფიკაციო გამოცდების სამართლიანად, ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარება;

ზ) სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები აისახოს მასწავლებელთა ხელფასზე;

თ) სახელმწიფომ უზრუნველყოს საჯარო სკოლების მომზადება აკრედიტაციისათვის;

ი) დაწესდეს შეღავათები და სოციალური გარანტიები მაღალმთიან რეგიონში დასაქმებული პედაგოგებისთვის;

კ) დაწესდეს შეღავათები და სოციალური გარანტიები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მასწავლებლებისთვის;

ლ) დაწესდეს მასწავლებელთათვის ღირსეული პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით;

მ) შეუფერხებლად მიეცეს შრომის ანაზღაურება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში დასაქმებულ პედაგოგებს;

ნ) რეგულარულად მიეცეთ პედაგოგებს მეცამეტე ხელფასი.

ტექნიკურ და დამხმარე პერსონალს:

ა) მიეცეთ შრომის სამართლიანი ანაზღაურება;

ბ) მიეცეთ უფლება, ისარგებლონ შვებულებით და შეექმნათ მათ შრომის ნორმალური პირობები;

გ) ისარგებლონ მასწავლებლებისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათებით.

სკოლის დირექტორებისთვის:

ა) მიეცეთ შრომის სამართლიანი ანაზღაურება და დაწესდეს მათთვის ხელფასის გონივრული მინიმალური ზღვარი;

ბ) სახელმწიფომ უზრუნველყოს სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულთათვის:

ა) სკოლამდელი აღზრდა მოექცეს ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში და დაექვემდებაროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურისდიქციას;

ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებულებს მიენიჭოთ პედაგოგის სტატუსი. გავრცელდეს მათზე საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის დადგენილი სოციალური შეღავათები და გარანტიები;

გ) მოწესრიგდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ბავშვისათვის სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა;

ე) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულებს გაუფორმდეთ უვადო შრომითი ხელშეკრულებები;

ვ) სახელმწიფომ უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლება.

უმაღლესი განათლების სფეროში:

ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცეთ რეალური ავტონომია;

ბ) უმაღლესი სკოლის მასწავლებელთათვის და კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის დაწესდეს შრომის სამართლიანი და ღირსეული ანაზღაურება;

გ) შეწყდეს დისკრიმინაცია უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულებისათვის ასაკობრივი ცენზის საფუძველზე;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს სასკოლო პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამასთან.

პროფესიული განათლების სფეროში

ა) გაიზარდოს პროფესიული სწავლების ცენტრების დაფინანსება;

ბ) პროფესიული სწავლების ცენტრებში დასაქმებულებს მიეცეთ შრომის სამართლიანი ანაზღაურება;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული სწავლების ცენტრებში დასაქმებულთათვის გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება;

დ) პროფესიული სწავლების ცენტრებში დასაქმებულებს მიენიჭოთ მასწავლებლის სტატუსი და მათზე გავრცელდეს საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის დადგენილი სოციალური შეღავათები და გარანტიები;

ე) მოწესრიგდეს პროფესიული სწავლების ცენტრთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის V საანგარიშო ყრილობა მოითხოვს, რომ სპმთპ, როგორც განათლების სისტემაში დასაქმებულთა ინტერესების დამცველი, ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია აქტიურად იყოს ჩართული ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დარეგულირების პროცესში და ხელისუფლებამ უზრუნველყოს რეალური სოციალური დიალოგი სახელმწიფოსა და პროფესიულ კავშირს შორის.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მოგვეცემა შესაძლებლობა ერთად ვიზრუნოთ იმ ადამიანების კეთილდღეობისათვის, ვის ხელშიცაა ჩვენი შვილების წიგნიერება, განათლება და ქვეყნის ღირსეული მომავალი.

„საჯარო ფიქრი“ ქართულ იდეაზე

ბოლო ორი წლის განმავლობაში, თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში არაერთი საინტერესო ღონისძიება, პროექტი თუ კონკურსი ჩატარდა. სკოლაში წარმატებით განხორციელდა პროექტები: „გაცნობიერებული მომავალი“, „ჩვენ ვმართავთ სკოლას“, „საერთო პასუხისმგებლობა“, კონკურსები: „ვწერ თავისუფალ თემას“, „24-ე სკოლის დღე“ და სხვ. ყოველი სიახლის ინიციატორი და სულისჩამდგმელი 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი გია მურღულიაა და, რა თქმა უნდა, ყოველივეს წარმატებით განხორციელებაში უდიდესი წვლილი ამავე სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მიუძღვით.

სულ მალე 24-ე საჯარო სკოლა ახალ პროექტს – „ქართული იდეა“ განახორციელებს. სავარაუდოდ, პროექტი ნაახალწლევს დაიწყება.

გია მურღულია: ძალიან ბევრი იდეა გვაქვს, რომლებიც კარგი პროექტებით, ეტაპობრივად უნდა განვახორციელოთ. ბუნებრივია, ბევრს ვფიქრობთ ბავშვების სწორად აღზრდაზე. აღზრდაში მოიაზრება ორი რამ: პირველი – აღვზარდოთ ქართველი ადამიანი, ეს უპირობო ამოცანაა, რომელიც არ ექვემდებარება დამატებით განსჯას; მეორე – აღვზარდოთ მსოფლიოს მოქალაქე. ადამიანში უნდა იყოს ქართველი და მსოფლიოს მოქალაქე ერთად. ადამიანი, რომელიც თავს არ გრძნობს ცივილიზაციის მემკვიდრედ, შეზღუდულია და საცოდავი. არანაკლებ საცოდავია ადამიანი, რომელსაც თავისი არ აქვს ან შეუცნობელი აქვს და ამიტომ სხვისას ესწრაფვის. ადამიანში ეს ორი რამ ერთად უნდა იყოს შერწყმული, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს თავის ძალიან ცნობილ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა ახალი პროექტი სახელწოდებით – „ქართული იდეა“, რაც ძალიან ბევრ შენაკადს გულისხმობს. გადავწყვიტეთ, ჩვენი მოსწავლეები ისეთ თემებზე დავაფიქროთ, როგორიცაა: საქართველოს ისტორია; რაზე დგას ჩვენი წარსული; რა ქმნის ქართული ცნობიერების საფუძვლებს; ვინ შეიძლება მოვიაზროთ იმ ადამიანებად, რომლებმაც შექმნეს ქართული სახელმწიფოს სახე, მისი ძირითადი ღირებულებები და ღირსება. უცბად ვისაც გაიხსენებს ადამიანი, ესენი არიან: ფარნავაზი, რომელმაც პირველი ქართული სახელმწიფო შექმნა; მირიანი, რომლის დროსაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა; ვახტანგ გორგასალი, რომელმაც ქართველებს აჩუქა დაუვიწყარი ფრაზა, ანდერძი: „ნუ დაუტევებთ გზასა ბერძენთასა“, ანუ ის ამბობს, რომ ჩვენი არჩევანი განვითარების ევროპული გზაა – დასავლური და ქრისტიანული. საქართველო ყოველთვის ამ გზას ირჩევდა და დღესაც ამ გზის არჩევა-არარჩევის დრამა მიმდინარეობს, იმედია კარგი დასასრულით.

შემდეგი მეფეები არიან: დავით აღმაშენებელი და, რა თქმა უნდა, გიორგი ბრწყინვალე. შეიძლება ამ ჩამონათვალს ბაგრატ III დაემატოს. ხშირად მეკამათებიან თამარ მეფის შესახებ, რომელიც გაღმერთებულია საქართველოში. ბუნებრივია, ალბათ, დიდი მეფე იყო, მაგრამ მაინც მგონია, რომ მისი ეპოქა დეგრადაციაა დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ქართული ცივილიზაციისა. ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ აღზევებული სახელმწიფო 15-20 წელიწადში დანგრეულიყო მონღოლების მზვერავი ლაშქრის მიერ. უფრო მეტიც, ჯალალ-ედ-დინი – უსამშობლო, სახელმწიფოს გარეშე მდგომი ადამიანი – არ უნდა ყოფილიყო ისეთი ძალა, რომელიც „ოქროს ხანის“ საქართველოს დაანგრევდა და ქართველების საოცნებო ქვეყანას იავარქმნიდა.

საერთოდ, ძალიან ბევრს ვფიქრობთ ისტორიის საზრისის ობიექტურ სწავლებაზე. მიმაჩნია, რომ საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა ჟამთა აღმწერელზე უფრო დიდი და ობიექტური ისტორიკოსი. მე ვერ ვიხსენებ მეორე ისტორიკოსს, რომელიც აგრერიგად ობიექტურად წერდა თავის ქვეყანაზე. მაგრამ მარტო მეფეები ხომ არ ქმნიდნენ ქართულ იდეას, არიან ადამიანები, რომლებიც თავად მეფეებს ქმნიან, ქმნიან ქართულ იდეას, ფიქრს, რომელსაც ეყრდნობიან. ასეთი ადამიანები ქართველებს უფრო მეტიც გვყავს, ვიდრე მეფეები. თამამად შეგვიძლია დავასახელოთ: ქუჯი ერისთავი, რომელმაც ქართველებს მეფე ფარნავაზის დროს აჩვენა, თუ რას ნიშნავს გააკეთო სხვისთვის ის, რასაც საკუთარი თავისთვის აკეთებ. ეს არის ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრებით, ჯერ კიდევ რუსთაველამდე თქვა: *„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“*; ამავე რიგს მიეკუთვნება იოანე საბანის-ძე, რომელმაც პირველმა გაიაზრა, რას ნიშნავს ქართული სახელმწიფო და საერთოდ – ქართველობა; გრიგოლ ხანძთელი, რომლის ფარდი მოღვაწეები არიან გიორგი მთაწმინდელი, ილია ჭავჭავაძე – აი, ქართული სამება ფიქრისა. ამას ვამბობ იმიტომ, რომ სამივემ არაფრისგან, იავარქმნილი საქართველოსგან შექმნა ერთიანი ქართული ცნობიერება.

ყოველთვის მაოცებდა კორნელი კეკელიძის სიტყვები ათონის ქართველთა მონასტერზე – ივერიონზე: *„რომ არა ეს მონასტერი, საქართველოს ისტორია შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო“.* სიმართლე გითხრათ, სტუდენტობიდან მიკვირდა, განა რა ასეთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა საქართველოსთვის სხვა ქვეყანაში არსებულ ერთ მონასტერს, მაგრამ მერე და მერე, ეს ყველაფერი რომ შევისწავლე, დავფიქრდი, მივხვდი, კორნელი კეკელიძე, რა თქმა უნდა, მართალს ამბობდა.

გამორჩეულ ადამიანთა შორის, რა თქმა უნდა, არის შოთა რუსთაველი, რომელმაც... აი, აქ კი ყოველი ჩვენგანი კარგად უნდა დაფიქრდეს, თუ რა მოაყოლოს სიტყვას – რო-

მელმაც. ამ პოემას ყველა გენიალურ ქმნილებად აღიარებს, მაგრამ ძალიან ცოტა ასაბუთებს, რაში გამოიხატება ეს გენიალურობა. სწორედ ეს არის მთავარი – დავასაბუთოთ ქმნილების უნიკალურობა და საგანგებო მნიშვნელობა როგორც ქართველებისთვის, ისე მთელი კაცობრიობისთვის.

„ვეფხისტყაოსნის“ შესაფასებლად ასეთ ფრაზას გამოვიყენებ: *„ღმერთს რომ განეზრახა პოემის დაწერა, სწორედ ისე დაწერდა, როგორც ეს რუსთაველმა გააკეთა“.*

გამორჩეული ადამიანები არიან დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი.

ბუნებრივია, ვინმემ შეიძლება ამ ჩამონათვალს ვიღაც დაამატოს ან გამოაკლოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ადამიანები ქმნიან „ქართულ იდეას“, ესენი არიან სვეტები, რომელზეც დგას საქართველოს ისტორია და ქართველთა ცნობიერი ცხოვრება. ნუთუ ამ ადამიანების გააზრების გარეშე არსებობს ნამდვილი ქართველი? ვფიქრობ, რომ არ არსებობს. ეს არის სწორედ ისტორიის საზრისი. ოდესმე გიფიქრიათ იმაზე, რომ ღმერთი ჩვენ ისტორიით გველაპარაკება და რომ ისტორია, შესაძლოა, გარკვეულ სურათს, გამოსახულებას ქმნის, რაღაც კანონზომიერებას გვეუბნება. ტყუილია ის, რომ ღმერთი კაცობრიობას არ ელაპარაკება, სწორედ გამორჩეული ადამიანების პირით, მოქმედებით, ქცევით, ცხოვრების წესით ელაპარაკება.

პროექტით „ქართული იდეა“ გვინდა ჩვენმა მოსწავლეებმა საჯარო გახადონ ფიქრი, გვინდა ბავშვებმა თავიანთ თანატოლებთან და უფროს თაობასთან ისაუბრონ ამ თემებზე, ღირებულებებზე, „ქართულ იდეაზე“. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, თუ რატომ მოგვწონს, რომ ქართველები ვართ, რა აზრს ვდებთ ამაში? იმასაც გავიხსენებთ, რომ ქართველებს, უამრავ ღირსებასთან ერთად, ბევრი ნაკლიც გვაქვს. ორივე მხარე კარგად უნდა გავიაზროთ და გავათვითცნობიეროთ. საუბარი „ქართულ იდეაზე“ ქართულ ღირსებაზე საუბარს ნიშნავს.

გვინდა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ დავანახოთ, შევახსენოთ ჩვენი ისტორიის შემართება. განა ეს ჩვენმა საზოგადოებამ არ იცის, მაგრამ ყველაფერი ერთ საზრისში უნდა ჩამოყალიბდეს, რაც სხვა მნიშვნელობას და სიმაღლეს იძენს ადამიანებისთვის.

პროექტთან დაკავშირებით:

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელთან, ბატონ მიშა ანთაძესთან ერთად, ნაახალწლევს, გვინდა თეატრის სცენაზე მოვაწყოთ „საჯარო ფიქრი“. პროექტში მოწვეული 12-15 ცნობილი ლიტერატორი დაასახელებს, მათი აზრით, 12 ყველაზე მნიშვნელოვან მხატვრულ ტექსტს, რაც ქართულ ენაზე დაწერილა და, რაც მთავარია, მოკლედ ახსნიან, რატომ მიაჩნიათ ეს ტექსტები ნიმუშებად.

პირადად მე 12 საუკეთესო ტექსტად შემიძლია დავასახელო: „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „მერანი“, „გამზრდელი“, „კაცია-ადამიანი“, „ვეფხისა და მოყმის ბალადა“, „ალუდა ქეთელაური“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ეფემერა“, „დათა თუთაშხია“.

პროექტმა მოსწავლეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია. ვნახოთ, რამდენად გაართმევენ თავს. მთავარია ის, რომ თემებზე მუშაობა, საჯაროდ საუბარი, ფიქრი თითოეულ მოსწავლეს მეტ ცოდნას შესძენს, საკმაოდ რთულ საკითხებზე დამოუკიდებლად ფიქრს მიეჩვევიან. შეგეძლოს რაღაცის დანახვა უკვე კარგია, ეს განათლების გარკვეულ დონეზე მიანიშნებს, დანახულის აღქმა კიდევ უფრო მაღალი დონის მანიშნებელია, მაგრამ ამ ყველაფერზე დაფიქრება და შეფასება კიდევ უფრო მაღალ დონეზე მეტყველებს, კონტექსტში შეფასება კი ამ ყველაფრის მწვერვალია. ცნობიერების მინიმუმს ოთხი სართული აქვს, შესაძლოა ცნობიერება მრავალსართულიანიც იყოს, რაც უფრო მაღლა ავიყვანთ ფიქრს, მით უფრო საინტერესონი ვიქნებით ჩვენი მოსწავლეებისთვის, საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის.

მხატვარ გოგი გეგეჭკორთან შეხვედრა პროექტის ერთ-ერთი ნაწილია, რომელსაც პირობითად ასე დავარქვით – „საუბრები მხატვრის სახელოსნოში“. არჩევანი ბატონ გოგიზე იმიტომ შევაჩერეთ, რომ მას შექმნილი აქვს ყველა იმ გამორჩეული ადამიანის პორტრეტი, რომლებზეც საუბარი გვქონდა. ბატონ გოგის, მოსწავლეებთან ერთად, სახელოსნოში ვეწვიეთ. მათ საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ კარგად ნაცნობ ისტორიულ პირთა გაცოცხლებული სახეები.

ალბათ, სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ მხატვრის სახელოსნო თბილისში იმ ადგილას მდებარეობს, სადაც დაარსდა თბილისი, იქ, სადაც უამრავი ტაძარია. კარგი იქნება, თუ ამ სახელოსნოს სხვა სკოლის მოსწავლეებიც ეწვევიან და დაათვალიერებენ იმ დიდებული ადამიანების პორტრეტებს, შეიგრძნობენ იმ დადებით აურას, რომელსაც თითოეული ნახატი ატარებს.

ახლო მომავალში ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრთან ერთად დავიწყებთ პროექტს „შვიდი დღე“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სკოლის უფროსკლასელთა სპეციალურ შემეცნებით აქტივობას სასკოლო არდადეგების დროს. 7 დღის განმავლობაში მოსწავლეები დაისვენებენ საქართველოს რომელიმე საკურორტო-გამაჯანსაღებელ ადგილას (ბაკურიანი, ბორჯომი, შეკვეთილი, ბაზალეთი, ლაგოდეხისა თუ ვაშლოვანის ნაკრძალები). პროგრამის თითოეული დღე შემეცნების რომელიმე სფეროს საფუძვლიან გაცნობას მიეძღვნება. 7 დღის განმავლობაში მათთან იმუშავებენ ლიტერატურის, მუსიკისა და მხატვრობის, ისტორიისა და პოლიტიკის, ჟურნალისტიკის, ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის პროფესიონალი წარმომადგენლები და ექსპერტები. მეექვსე დღე იუმორს დაეთმობა, მეშვიდე დღე კი „მსოფლიო დღე“ იქნება. ყველა დღეს თავისი საქმის პროფესიონალი წარუძღვება.

ვფიქრობ, ეს პროექტი ჩვენი შვილებისთვის ძალიან კარგი საახალწლო საჩუქარი იქნება. მის განხორციელებას, 13-20 იანვრის ჩათვლით, ბაკურიანში ვგეგმავთ. ეს იქნება პირველი ნაბიჯი, ხოლო ზაფხულის არდადეგებზე პროექტს მასშტაბური სახე მიეცემა. რა თქმა უნდა, ეს მოსწავლეების დაინტერესებაზეა დამოკიდებული. მოსწავლეთა შერჩევა მათ სურვილზეა დამოკიდებული.

პროექტის პროგრამა, როგორც უკვე გითხარით, ძალზე დატვირთული და მრავალფეროვანი იქნება, რამდენად სრულად მოხდება პროექტის რეალიზება, ამას უკვე მისი მსვლელობა გვიჩვენებს.

პროექტის მონაწილეები ბაკურიანის ერთ-ერთ სასტუმროში დაბანაკდებიან. პირობითად, ეს იქნება ერთი მთლიანი სამყარო, რომელიც შვიდ სხვადასხვა სამყაროს მოიცავს. მოსწავლეებისთვის, ყოველდღიურად, შეიხსნება თითო კარი, შეიხედავენ და ამა თუ იმ სამყაროს საუკეთესო გამოვლინებებს გაეცნობიან.

ესაუბრა ***მაკა ყიფშიანი***

საუბრები ლიტერატურაზე

იგავი თავკერძობის შესახებ

რუბრიკას უძღვება
თამაზ ვასაძე

არსებობს ნაწარმოებები, რომლებშიც მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსთა სარეანიმაციო პროცედურების წყალობით ბჟუტავს სიცოცხლის ნაპერწკალი.

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ცხადია, ასეთ პროცედურებს არ საჭიროებს, იგი დროთა განმავლობაში ბუნებრივ სიცოცხლისუნარიანობას არ კარგავს. ამ სიცოცხლისუნარიანობის საწინდრის შესახებ კიდევ ერთხელ დაფიქრება, ალბათ, ზედმეტი არ უნდა იყოს.

„სამანიშვილის დედინაცვალზე“ მსჯელობისას ტრაგიკულის და კომიკურის ცნებები გამოიყენება, ოღონდ ტრაგიკული გაგებულია ყოველდღიურ-ყოფითი აზრით, „უბედურების“ მნიშვნელობით.

სინამდვილეში დავით კლდიაშვილის მოთხრობა შეიცავს ტრაგიკულის როგორც სპეციფიკური ესთეტიკური კატეგორიის ზოგიერთ მომენტს.

ის, რასაც პლატონ სამანიშვილი შეეჯახება, არსებითად არის ისტორიული კანონზომიერება, რომელიც ხელს მოუცარავს აზნაურთა ფენას, მაგრამ ეს დაუნდობელი ისტორიული აუცილებლობა მოვლენილია არა უშუალოდ, არამედ როგორც ბედისწერა.

ბედისწერასთან ადამიანის შეჯახების მოტივი კი ტრაგიკული მოტივია. მან ყველაზე სრული გამოვლენა პოვა ბერძნულ ტრაგედიაში, ხოლო განსაკუთრებული სიმკვეთრით ხორცი შეისხა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“.

აქ ბუნებრივად ჩნდება სკეპტიკური კითხვა – რა შეიძლება ჰქონდეს საერთო კლდიაშვილის უღიმღამო, საბრალო პერსონაჟს დიდებულებით მოსილ ტრაგიკულ გმირებთან, რომელთაც ამაღლებული ფიქრი, ზრახვები და ღრმა ვნებათაღელვა გამოარჩევთ?

ტრაგიკული გმირის არსებითი თვისებაა ის, რომ იგი, შექსპირის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „მოზღვავებულ უბედურებასთან“ არის შებრძოლებული და როგორი ღიმილისმომგვრელიც უნდა იყოს ამის თქმა, პლატონ სამანიშვილიც ერთგვარად „მოზღვავებულ უბედურებას“ ებრძვის.

ტრაგიკული გმირისთვის დამახასიათებელია აგრეთვე, რომ იგი ნებით თუ უნებლიეთ თავად აღასრულებს გარდაუვალს, საკუთარი ქმედებით ახორციელებს ბედისწერის მისთვისვე მკაცრ განაჩენს. ტრაგიკულ პერსონაჟს პლატონი ამ ნიშნითაც უახლოვდება.

პლატონს თავისებურად ყველაფერი ზუსტად აქვს გათვლილი და დაგეგმილი, მაგრამ მაინც ხდება ის, რაც თითქოს ყველაზე ნაკლებად უნდა იყოს მოსალოდნელი, რის არმოსახდენადაც მან ამდენი იწვალა; ბედისწერამ პლატონის უნებლიე დახმარებით თავისი გაიტანა.

ბედისწერის მოტივს დავით კლდიაშვილი თავისი პერსონაჟების ყოფით – ჩვეულებრივ საუბარში თუ ფიქრში „შეაპარებს“: *„ეგება მართლადაც ეს ქალი მამამისის ბედი უნდა იყოს?! მართლა რა არის, აბა, რომ თავიდანვე ამ ქალს უხსენებენ და ყოველი გარემოება ისე ეწყობა, რომ უსათუოდ ამ ქალის მხსენებელი ხვდება ყველგან, თითქოს განგებ პირი შეეკრათ ამაზე!.. ხომ არავინ იცოდა? მას ხომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია თავისი საიდუმლოს შესახებ გვერდევანიძესთან – თვითონ იმან ახსენა და აქო ეს ქალი... ქორწილიდან სახლში ბრუნდებოდა, მაგრამ მაინც აქეთ წამოვიდა... აქ მოვიდა და, თითქო განგება იყოს, ეს ქვაშავიძე დახვდა და იმავე ქალს ურჩევს და აძალებს!.. რას მიაწეროს?.. ესე უმნიშვნელოდ რავა იქნება, რავა ხდება ეს ამბავი?! ეგებ მართლა ღმერთი ანიშნებდეს და გაჭირვებულს დახმარებას აძლევდეს, ეწეოდეს, საქმეს უადვილებდეს, ბედზე უთითებდეს!“*

პლატონის თავგადასავალი ბედისწერის მიერ ადამიანის გამასხრებაა. ბედის ირონიის მოტივის წყალობით „სამანიშვილის დედინაცვალი“ წარმოდგება არამარტო კონკრეტული დროის და გარემოს, კონკრეტული სოციალური ფენის წარმომადგენელთა ყოფის ამსახველ სურათად, არამედ იგავადაც ადამიანური თავკერძობის და მისი სასჯელის შესახებ.

ირონიულ, კომიკურ იგავად აქცევს „სამანიშვილის დედინაცვალს“ ის, რომ ტრაგიკული ელემენტი აქ თანმიმდევრულად იშლება.

ამგვარი ელემენტის შემცველ სიტუაციაში, როგორც უკვე შევნიშნეთ, მოქცეულია „პატარა ადამიანი“, რომელიც ტრაგიკული გმირის, „სულდიდი ქმნილების“ მსგავსად რაიმე საყოველთაო ფასეულობას, პრინციპს კი არ ამკვიდრებს თავგანწირვით, საკუთარი კერძო, უბადრუკი მიზნის მიღწევისთვის თავის დამამცირებლად ცოდვილობს. სწორედ ამ ეგოისტური შეზღუდულობით და ულირსობით, თავისი ადამიანური და აზნაურული ღირსების გათელვით იმსახურებს იგი ბედის დაცინვას (თავკერძობის გამო ბეკინაც ისჯება).

ტრაგიკული მოტივი – ადამიანი ბედისწერის პირისპირ – ხორცშესხმულია მისთვის სრულიად შეუსაბამო, დამამდაბლებელ, ანეკდოტურ ფაბულაში – შვილი მამის მაჭანკლობას კისრულობს, ბერწ სადედინაცვლოს დაეძებს. ულმობელი ბედისწერა პლატონ სამანიშვილს ევლინება სავსებით დემითოლოგიზებული სახით – როგორც ერთი საწყალი ქვრივი დედაბერი.

ბედისწერასთან ადამიანის შეჯახების ტრაგედიული მოტივი ჩანასახშივე პროფანირებული და კომიზებულია: პლატონი ვითომ ეურჩება, სინამდვილეში კი გაურბის ბედს. მოთხრობის კომიზმის სიღრმისეული საფუძველია ის, რომ მთავარი პერსონაჟის ცდები, გაექცეს ბედისწერას, უნებლიეთ სწორედ ბედისწერის აღსრულება გამოდგება. კომიზმი აქვეითებს და მთლიანად ნთქავს ტრაგიკულ მომენტს.

ქართული სინამდვილის დაკნინების მოწმობაა, რომ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მხატვრულ რეალობაში ტრაგიკული მოტივი აუცილებლად საკუთარი თავის პაროდიულ უარყოფად უნდა იქცეს, რომ ამ რეალობაში მისი ადეკვატურად გამოვლენა შეუძლებელია.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ ძველისძველი ტრაგიკული მოდელი კომიკურად მდარე, სრულებით არაგმირულ და არაპათეტიკურ სინამდვილეში დამინდა, რაც ნიშანდობლივი აღმოჩნდა შემდგომდროინდელი მხატვრული აზროვნებისთვის.

თუმცა ნაწარმოების ბოლოს კომიზმიც ქრება, სპეციფიკურად ტრაგიკულიც აქ არაფერი ჩანს – პროტაგონისტი არ იღუპება და არაჩვეულებრივ ტანჯვასაც არ განიცდის, არც დიდი ფასეულობები და იდეალები იმსხვრევა – თითქოს მხოლოდ ჩვეულებრივი უბედურება რჩება, ანუ „ტრაგედია“ ყოველდღიური გაგებით.

მაგრამ „სამანიშვილის დედინაცვლის“ ფინალში არის რედუცირებული ნამდვილი ტრაგედიის ნატეხიც – იღუპება ადამიანის სული, მისი სინდისი; სიკეთეს პლატონის არსებაში ახშობს შეუბრალებლობა, გაბოროტებულ სულში იბადება დაუნდობელი კითხვა: „მე შემიბრალა ვინმემ?“ პლატონს არ შეუძლია დათმობა, ბედს დამორჩილება, ამის საფასური კი მისი ზნეობრივი სიკვდილია.

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

ძნელი მოზარდები

უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა მოზარდობის ასაკში

რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი
ქეთევან თავართქილაძე

ცნება „ძნელი მოზარდი“ საბოლოოდ დადგენილი არ არის. მოზარდობის ასაკი, როგორც პიროვნების განვითარების კრიზისული პერიოდი, გულისხმობს, რომ ყველა მოზარდი ძნელია. მოზარდის განვითარების პროცესი (ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და პიროვნული თავისებურებანი, ჩამოუყალიბებელი სოციალური სტატუსი) თავისი არსით გულისხმობს კრიზისს, კონფლიქტებს, სოციალური გარემოსადმი ადაპტაციის სიძნელეებს. ითვლება, რომ ძნელია მოზარდი, რომელმაც ვერ შეძლო თავისი ბიოლოგიური და ფსიქო-სოციალური განვითარების ეტაპის წარმატებით გადალახვა და რომელსაც ქცევის მიღებული ნორმებიდან გადახრები ახასიათებს.

ძნელი ბავშვები ყველა ასაკობრივ საფეხურზე გვხვდება. ესაა ოჯახში არასწორი აღზრდის შედეგად პედაგოგიურად ხელმიშვებული ბავშვები, მაგრამ ძნელი ბავშვების ტიპური თავისებურებები განსაკუთრებით მძაფრად მოზარდობის პერიოდში ვლინდება.

ძნელი, ანუ ძნელადაღსაზრდელი მოსწავლეები სწავლა-აღზრდის პროცესში უამრავ პრობლემას ქმნიან. ყველა ძნელი ბავშვისათვის დამახასიათებელია „აღზრდისათვის აქტიური წინააღმდეგობა“ და აღიარებული პედაგოგიური საშუალებების მიუღებლობა.

გამოჰყოფენ ძნელადაღსაზრდელი მოზარდების ოთხ ტიპს:

1) მოზარდები, რომლებსაც დარღვეული აქვთ ურთიერთობის სფერო. ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის მოზარდები, რომლებსაც ოჯახსა ან სკოლაში, განსაკუთრებული მდგომარეობის გამო (დედისერთა, გარიყული), დარღვეული აქვთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობები. ასეთი მოზარდების წარმოდგენები ცხოვრებაზე პესიმისტური, კრიტიკული ან ძალიან რომანტიკულია. მათ შორის ბევრია უპრინციპო, ქცევის წესების უარმყოფელი არანაირ ვალდებულებებს რომ არ ცნობს. ბევრი მათგანი კარგად სწავლობს, მაგრამ კლასის სიმპათიით არ სარგებლობს, მათთან ურთიერთობას ერიდებიან.

2) მძაფრი ან დაქვეითებული ემოციური რეაქციების მოზარდები. ამ ჯგუფში შედიან ისეთი მოზარდები, რომლებმაც ნერვული სტრესები, ფსიქოლოგიური ტრავმები გადაიტანეს. მათთვის დამახასიათებელია აგზნებადობა, მკვეთრი, მწვავე რეაქციები ან პასიურობა, გულგრილობა და ინდიფერენტულობა ამაღელვებელი მოვლენების მიმართაც კი. მათი უმრავლესობა აფექტურია. დაქვეითებული აგზნებადობის ძნელი მოზარდების დიდი ნაწილი (70%) გოგონებია. მათთვის დამახასიათებელია სუსტი ზოგადი განვითარება და პრიმიტიული მორალური თვითცნობიერება, შენელებული რეაქციები, სოციალური კავშირების სისუსტე, სოციალური ინტერესების უქონლობა, გულგრილობა.

3) ცალმხრივი გონებრივი განვითარების მოზარდები. ამ ჯგუფში ისეთი მოზარდები შედიან, რომელთა ზოგადი გონებრივი განვითარება შეფერხებული იყო და ამ ფონზე მისი რომელიმე კონკრეტული ნიჭის იგნორირებას ახდენდნენ ან გადაჭარბებულად აფასებდნენ. მათთვის დამახასიათებელია შემეცნებითი ინტერესების უქონლობა ან ცალმხრივი განვითარება, სასწავლო პროცესისა და მასწავლებლის მიმართ სიძულვილი, ცალმხრივი განათლება.

4) სუსტი ნებელობის მოზარდები. ამ ჯგუფს უნებისყოფო და ჯიუტი მოზარდები განეკუთვნებიან. მათი უმრავლესობა თავნება, ჭირვეული, უდისციპლინო და არაორგანიზებულია, არ ემორჩილებიან ქცევის ნორმებსა და წესებს. ისინი უბრალო, მარტივი საქმეების გამო ბევრ ენერგიას ხარჯავენ. მათი ნებელობა უფრო მეტად რეგულირდება თვითშთაგონებით, თავმოყვარეობით, ემოციური განცდებით.

ძნელი მოზარდების ქცევის თავისებურებებია:

■ **უკიდურესი წინააღმდეგობრივი ფუნქციების ერთმანეთის გვერდით არსებობა.** განვითარებული გონება და თითქმის განუვითარებელი გრძნობები (ან პირიქით), სუსტი შრომისმოყვარეობა და ძალზე განვითარებული მოთხოვნილებები, შეზღუდული თვალსაწიერი და ყოველდღიური უარყოფითი გამოცდილების სიჭარბე. ეს ყოველივე შინაგან დაძაბულობას ქმნის, რაც მოზარდის წინააღმდეგობრივ ქცევებში გამოიხატება.

■ **გარშემომყოფებთან ხანგრძლივი კონფლიქტური დამოკიდებულება.** უფროსების მხრიდან შენიშვნებს, დასჯას, კრიტიკას მოზარდი მტრობის გამოვლენად, საკუთარი დამოუკიდებლობის ხელყოფად, პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. ხშირია კონფლიქტები არა მარტო მშობლებთან და მასწავლებლებთან, არამედ თანატოლებთანაც.

■ **ყველაფრის სარგებლიანობის პრინციპით შეფასება.** მოზარდი ყველაფერს ეგოისტური ცხოვრებისეული პოზიციიდან უდგება. მომგებიანია თუ წამგებიანი მისთვის ესა თუ ის ქცევა, რას მიიღებს, თუ მშობლის ან მასწავლებლის მოთხოვნას შეასრულებს – ესაა ძირითადი მოტივი.

■ **ინტერესებისა და მისწრაფებების ხშირი ცვლა.** გატაცებების ხშირი ცვლა საერთოდ დამახასიათებელია მოზარდთათვის, მაგრამ ძნელ მოზარდებთან ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს.

■ **აღმზრდელობითი ღონისძიებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა.** ძნელი მოზარდი ხშირად ეწინააღმდეგება იმ მასწავლებელს, რომელიც არ უყვარს ან რომლის საგანიც არ მოსწონს, აგრეთვე იმ მასწავლებელს, რომელმაც მას, თუნდაც უნებურად, რაიმე წყენა მიაყენა. ცხადია, რომ ასეთი მასწავლებლების პედაგოგიურ ღონისძიებებზე ძნელი მოზარდები ნეგატივიზმით პასუხობენ.

მოზარდთა დევიაციური ქცევები

დევიაციური ქცევა საზოგადოების მიერ მიღებული სამართლებრივი, მორალური და კულტურული ნორმებიდან გადახრილი ქცევაა. ამგვარი ქცევა ხშირად დამახასიათებელია მოზარდებისათვის. მათი გამოვლენის ფორმები მეტად მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყოს სამართლის ნორმების დარღვევა (დელიკვენტური ქცევა), სახლიდან გაქცევა და მაწანწალობა, სექსუალური აღვირახსნილობა, ნაადრევი ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, სუიციდური ტენდენციები, შარიანობა და აგრესიულობა. ეს დარღვევები გამოიხატება როგორც მოზარდის პრაქტიკულ ქმედებებში, ასევე მის სურვილებში, მსჯელობებსა და გამონათქვამებში.

არსებობს დევიაციური ქცევის ორი ჯგუფი:

ასოციალური ქცევა – ირღვევა სამართლებრივი, მორალური, სოციალური და კულტურული ნორმები. ასეთი ქცევა არაა გამოწვეული ნერვულ-ფსიქიკური ფაქტორებით, არ თავსდება ფსიქიატრიის ჩარჩოებში;

პათოლოგიური ქცევა – გადახრილია ფსიქიკური ჯანმრთელობის ნორმებიდან და გულისხმობენ აშკარა ან ფარული ფორმის ფსიქოპათოლოგიის არსებობას. მათი ძირითადი კრიტერიუმებია ფსიქიატრიული სფერო.

მკვლევარები გამოჰყოფენ მოზარდთა **დევიაციების მიზეზთა ორ ძირითად ჯგუფს**:

I. ფსიქოსოციალური ფაქტორები, რომელშიც შედის:

ა) პედაგოგიური და მიკროსოციალური ხელმიშვებულობა;

ბ) ფსიქოტრავმული ფაქტორები (მშობელთა ალკოჰოლიზმი, ოჯახური კონფლიქტები, ოჯახში დედინაცვლის ან მამინაცვლის შემოსვლა, ახლობლების ავადმყოფობა ან სიკვდილი და სხვ.);

II. ბიოლოგიური საფუძვლები, რომელშიც შედის:

ა) ადრეულ ასაკში გადატანილი ორგანული, ინფექციური, ინტოქსიური წარმოშობის ცერებრალური დაზიანება;

ბ) მემკვიდრული ფაქტორები (მაგ., მშობლის ფსიქიური დაავადებით განპირობებული ფსიქოპათიის მსგავსი მდგომარეობა).

აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიური ფაქტორები აპირობებს ხასიათის ანომალიებს, რაც კარგად ჩანს ფსიქოპათიების მაგალითზე. თუმცა დელიქვენტური, ალკოჰოლური და ზოგიერთი სხვა დარღვევა ბიოლოგიური ფაქტორებით არაა განპირობებული.

გამოყოფენ მოზარდთა **სოციალურ-ფსიქოლოგიური დევიაციების შემდეგ ფორმებს:**

1) ემანსიპაციის რეაქცია – ვლინდება მოზარდის მიერ უფროსის მზრუნველობისგან, გავლენისგან, ზედამხედველობის და მფარველობისგან თავის დაღწევაში. ესაა ერთგვარი ჯანყი საერთოდ უფროსი თაობის მიმართ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, პიროვნული თვითდამკვიდრების მცდელობა. ამ მოვლენას „ავტორიტეტების კრიზისსაც“ უწოდებენ. ემანსიპაციის რეაქციის გამოვლენის შედარებით გავრცელებული ფორმაა სახლიდან გაქცევა და მაწანწალობა.

2) **თანატოლთა დაჯგუფებების რეაქცია** – თანატოლებისადმი ძლიერი სწრაფვა. მოზარდები დიდი ხალისით ერთიანდებიან თანატოლთა ჯგუფებში. არსებობს თანატოლთა დაჯგუფების **ორი ტიპი**: **ა) ერთსქესიანი მოზარდული ჯგუფები,** რომელსაც ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი და ჯგუფის თითოეულ წევრს გარკვეული ფუნქცია აქვს. ასეთ ჯგუფებში ლიდერობა დამყარებულია ძალაზე, სუსტის დაჩაგვრასა და სისასტიკეზე; **ბ) სხვადასხვასქესიანი დაჯგუფებები,** რომლებისთვისაც დამახასიათებელია როლების უწესრიგო განაწილება და მუდმივი ლიდერის უყოლობა. ჯგუფის წევრთა ფუნქციებიც მკაცრად არაა განსაზღვრული. არასტაბილურია ჯგუფის შემადგენლობაც. ცნობილია, რომ მოზარდთა სამართალდარღვევები ძირითადად ამგვარ ჯგუფებში ხდება.

3) ჰობი-რეაქციები – მათ გარეშე მოზარდობის ასაკი ძნელი წარმოსადგენია. ჰობის შემდეგი სახეები არსებობს: **ა) სხეულებრივ-მანუალური ჰობი,** რომლის დანიშნულებაა სხეულის გაკაჟება, ამტანობის გამომუშავება, კარატე, კრივი და სპორტის სხვა საბრძოლო სახეობებით გატაცება; **ბ) ინტელექტუალურ-ეთიკური ჰობი** – მუსიკის, ხატვის, ფოტოსაქმის, ცხოველთა სამყაროსადმი და სხვა ინტერესებით განპირობებული; **გ) ლიდერული ჰობი** – ისეთი სიტუაციების ძიება ან შექმნა, სადაც შეიძლება თავის გამოჩენა, ხელმძღვანელობა, ლიდერობა; **დ) შეგროვების ჰობი,** რაც გულისხმობს ყოველგვარი სახის კოლექციონერობას; **ე) ეგოცენტრული ჰობი** – ყოველგვარი საქმიანობა, რომელთა საბოლოო მიზანია გარშემომყოფთა ყურადღების მიპყრობა, ყურადღების ცენტრში მოხვედრა (მაგ., მხატვრული თვითშემოქმედება და სხვა მსგავსი საქმიანობა); **ვ) აზარტული ჰობი** – ბანქოს თამაში, ტოტალიზატორებში, გათამაშებებში, ლატარიებში მონაწილეობა). ჰობის ინტენსივობის მიხედვით, ის შეიძლება მიმდინარეობდეს ნორმის ან პათოლოგიის ფარგლებში. თუ რომელიმე ჰობი ისეთი ინტენსივობით სრულდება, რომ მოზარდს სხვა ყველაფერი ავიწყდება, ეს უკვე დევიაციაა.

4) სექსუალური რეაქციები – აქ შედის არა მარტო საკუთრივ სექსუალური ქცევები (ონანიზმი, ჰომოსექსუალიზმი, პეტინგი და სხვ.), არამედ ქცევის ზოგიერთი ისეთი დარღვევაც, რომელსაც გარეგნულად არა აქვს სექსუალური შეფერილობა (ბილწსიტყვაობა, გინება);

5) ბავშვური ქცევების რეაქციები – ესაა მართლაც ბავშვური ქცევა, რომელიც გარდამავალ ასაკშიცაა გადმოყოლილი და მოზარდის საერთო ქცევას გარკვეულ დაღს ასვამს. ამგვარი რეაქციებია: **ა) უარის რეაქციები,** რაც გამოიხატება კონტაქტებზე, თამაშზე, საკვებზე უარის თქმაში. ადგილი აქვს მაშინ, როცა მოზარდებს მათი ნების გარეშე აშორებენ თანატოლთა კომპანიებს; **ბ) ოპოზიციის რეაქციები** – გამოწვეულია უფროსის მიერ ისეთი მოთხოვნების წაყენებით, რომელთა შესრულება მოზარდს არ შეუძლია (კარგად ისწავლონ, მიაღწიონ წარმატებებს სპორტში, მუსიკაში და სხვ.); აგრეთვე მშობელთა მხრიდან ყურადღების ნაკლებობით, ოჯახში დედინაცვლის ან მამინაცვლის შემოსვლით, ახალი წევრის გაჩენით და ა. შ. ეს არის ჯიბრიანი, დემონსტრაციული და გამომწვევი ქცევები; **იმიტაციის რეაქციები** – გულისხმობს რომელიმე კონკრეტული პიროვნების ქცევის მიბაძვას (განსაკუთრებულად გამორჩეული და პოპულარული თანატოლები, როკ-მუსიკის ან სპორტის აღიარებული კერპები). ეს რეაქციები ქცევის სერიოზულ დარღვევებად მაშინ იქცევა, როცა მოზარდი მისაბაძ ობიექტად ასოციალური ქცევის პირებს ირჩევს; **კომპენსაციის რეაქციები** – ერთ რომელიმე სფეროში საკუთარი სისუსტის შევსება სხვა სფეროში წარმატების მოპოვებით (ფიზიკური სისუსტის ანაზღაურება კარგი სწავლით, სწავლაში წარუმატებლობის ანაზღაურება ქცევის ნორმების განგებ დარღვევით, „ვაჟკაცური“ ქცევით). ეს ქცევები დევიაციის ფორმას მაშინ იღებენ, როცა მოზარდი შიშის კომპენსაციას უაზრო და გაუმართლებელი რისკის ხარჯზე აღწევს.

ყველა ჩამოთვლილი რეაქცია მოზარდობის ასაკში შეიძლება გამოვლინდეს როგორც ნორმის, ასევე დევიაციის ფორმით. ნორმალური ქცევებისაგან პათოლოგიური რეაქციები იმით განსხვავდება, რომ ისინი არაადეკვატურ სიტუაციებში აღმოცენდება. მათთვის დამახასიათებელია განსხვავებულ მიზეზებზე ერთი და იმავე რეაქციით პასუხი, ქცევის ისეთი უკიდურესი ფორმით გამოვლენა, რომელიც არაა დამახასიათებელი იმ ჯგუფის წევრებისათვის, რომელშიც მოზარდია გაერთიანებული.

დასასრული შემდეგ ნომერში

კლასის დამრიგებელი

მინდა, ჩემი კლასი ყველაზე მეგობრული და შეკრული იყოს

გიორგი ფარისაშვილი
21-ე საჯარო სკოლის
ისტორიის მასწავლებელი

* * *

პროფესიით ისტორიკოსი ვარ – აღმოსავლეთმცოდნე, არაბისტი. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ჩემი პროფესიით არასოდეს მიმუშავია. ბავშვებთან ურთიერთობა ყოველთვის ძალიან მომწონდა, მათ გარემოცვაში ყოველთვის კარგად ვგრძნობდი თავს. აქედან გამომდინარე, ალბათ, დაფარული სურვილი მქონდა მათთან მუშაობის. მართლაც გამოჩნდა 21-ე საჯარო სკოლაში ვაკანსია, მეც გავიარე დირექტორთან გასაუბრება და სექტემბრიდან დავიწყე მუშაობა ისტორიის მასწავლებლად. სულ სამი თვეა, რაც სკოლაში ვასწავლი, კლასები ნელ-ნელა დამემატა, ახლა მე-7 და მე-9 კლასებს ვასწავლი. სულ ცოტა ხნის წინ კი შემომთავაზეს კლასის დამრიგებლობა, მე უარი არ ვთქვი მეოთხე კლასის დამრიგებლობაზე.

* * *

თუ ბავშვები არ გიყვარს და მათთან თავს კარგად არ გრძნობ, სკოლაში ისე ვერ იმუშავებ. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო განსაკუთრებულია პატარებთან, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. სულ რამდენიმე კვირაა, რაც დამრიგებელი ვარ და ეს დრო უკვე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ერთმანეთს შევწყობოდით, ანუ ჩვენს შორის სრული თანხმობაა.

* * *

ასარჩევად რომ მქონოდა სადამრიგებლო კლასები, აუცილებლად დაწყებით კლასებს ავირჩევდი. გარდა იმისა, რომ დამწყები მასწავლებლისთვის, მით უფრო დამწყები დამრიგებლისთვის, პატარებთან მუშაობა უფრო იოლია, ამას მეორე უფრო მნიშვნელოვანი მხარეც აქვს, შენ მათ სკოლის დამთავრებამდე შეგიძლია გაჰყვე, ანუ გარკვეულწილად, შენი წვლილიც იქნება მათ სწორ გზაზე დაყენებაში.

* * *

ჩემს სადამრიგებლო კლასში 28 ბავშვია. ამ მოკლე დროის განმავლობაში უკვე მქონდა შემთხვევები, როცა მე დავდექი მათ პირისპირ როგორც დამრიგებელი. სიცელქით ცნობილ ერთ-ერთ მეოთხეკლასელთან ცოტა მკაცრი ტონით მომიხდა საუბარი. შედეგი კვირის ბოლოს მივიღე, ის მაქსიმალურად გამოსწორდა. პირველ რიგში, მინდა ბავშვებმა მოსმენა ისწავლონ. გარდა ამისა, უკვე მქონდა შემთხვევა, როცა ერთმა გოგონამ ჩუმად გამიხმო და ყურში რაღაც ჩამჩურჩულა. ამ ფაქტით, ჩავთვალე, რომ მე, გარკვეულწილად, უკვე შევძელი, მათი ნდობის მოპოვება, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია.

* * *

ბუნებრივია, როცა გადავწყვიტე სადამრიგებლო კლასის აყვანა, ყველაფერი გავაცნობიერე, გავაანალიზე და ჩემეული გეგმაც შევიმუშავე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გეგმიდან ისაა, რომ მინდა, ჩემი კლასი ყველაზე მეგობრული და შეკრული იყოს. სურვილი მაქვს, მათ სკოლის გარეთაც ერთმანეთთან დიდი დრო გაატარონ. ამ მიმართულებითაც ვაპირებ მუშაობას, თვის ბოლოს მინდა ჩემი სადამრიგებლო კლასი ბაკურიანში ნავიყვანო.

* * *

მე და სასწავლო ნაწილი ერთად შევედით კლასში, მან წარმადგინა, – ეს თქვენი დამრიგებელი იქნებაო. იმ წუთიდან ვიგრძენი ბავშვებიდან წამოსული დადებითი ემოცია – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უფრო სწორად, ეს არის ყველაზე დიდი სტიმული ჩემთვის, მეტი დრო გავატარო მათთან.

გადაწყვეტილი მაქვს, ვიდრე სკოლაში ვიმუშავებ ამ ბავშვების დამრიგებელი ვიქნები, თუ რასაკვირველია, მათი სურვილიც იქნება.

* * *

მართალია, მათ საგანს არ ვასწავლი, მაგრამ მათივე ინტერესიდან გამომდინარე, ვესაუბრები ისტორიულ თემებზე. ამას წინათ დავალებაც მივეცი, პრეზენტაციის მომზადება საქართველოს ეკლესია-მონასტრების შესახებ, თითო თემაზე ორ-ორი მოსწავლე იმუშავებს, მინდა, ისინი ჯგუფურ მუშაობასაც მიეჩვიონ და ერთმანეთის აზრის პატივისცემაც ისწავლონ. რაც ყველაზე მთავარია, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ მათგან დიდი ინტერესი წამოვიდა.

* * *

გარდა ასეთი ტიპის დავალებისა, ვგეგმავ აუცილებლად დავამკვიდრო ტრადიციული „კვირის საათი“, როცა ჩვენ გაკვეთილების შემდეგ შევიკრიბებით და ვისაუბრებთ ინტელექტუალურ თემებზე ან მოვაწყობთ შემეცნებით-გასართობ თამაშებს, ან თუნდაც აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს, დიალოგებს; თემები მათივე ინტერესთა გათვალისწინებით შეირჩევა.

* * *

მინდა გააცნობიერონ, რომ გაკვეთილზე მასწავლებლის მოსმენა მათთვის სასარგებლოა, მაქსიმალურად უნდა შეძლონ თავიანთი საქციელის გაკონტროლება. ამის მიღწევა, ბუნებრივია, რთულია, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ მთავარია მიდგომის ფორმა შეარჩიო სწორად და მიუღწეველიც აღარაფერი იქნება.

* * *

თუ ბავშვი აშავებს, ბუნებრივია, მას შენიშვნა უნდა მისცე. ერთ-ერთი ყველაზე ცუდი ყოფაქცევის მოსწავლე გავაფრთხილე, რომ სამი შენიშვნის შემდეგ მას დავსჯიდი. დასჯის ფორმულა რაც არის, ჩემმა მოსწავლეებმა იციან – თუ რომელიმე მათგანმა სამი შეიშვნა უკვე მიიღო, ის დასვენებაზე გარეთ ვერ გავა თანატოლებთან სათამაშოდ. დასჯის ამ ფორმას მათი ასაკიდან გამომდინარე მივმართე, იმიტომ, რომ ამ ასაკის ბავშვებისთვის გარეთ გასვლა და გართობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ მოსწავლე, რომელიც გააცნობიერებს, რომ თავისი საქციელის გამო, მისი გართობა იზღუდება, აუცილებლად შეეცდება თავის მოთოკვას.

* * *

მშობლებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, ჯერჯერობით წარმატებით ავაწყვე. ხშირად ერთმანეთს დღის ბოლოს ტელეფონით ვუკავშირდებით, ხანდახან ყოველდღე. განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში ვურთიერთობთ ინტენსიურად, მას შემდეგ, რაც ბაკურიანისთვის დავიწყეთ მზადება. მაქსიმალურად ვცდილობ ისინი საქმის კურსში ჩავაყენო. პედაგოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ურთიერთობის დიპლომატია – მშობელს ისე უნდა მიაწოდო შვილის კარგი და ცუდი საქციელი, რომ მას შეეძლოს ობიექტურობის დაცვა და, რაც მთავარია, ტაქტიანად მისი შექება თუ გაკიცხვა. თუმცა, ეს უკანასკნელი მშობლებზეა დამოკიდებული, მშობელმა შვილს ისე ფაქიზად უნდა მისცეს შენიშვნა, რომ ბავშვი ჩვენ მიმართ არ განაწყოს ცუდად. ანუ სამივე მხარე – მშობელიც, ბავშვიც და მასწავლებელიც (ამ შემთხვევაში დამრიგებელი) ერთმანეთთან ურთიერთობას უნდა გავუფრთხილდეთ.

რაც მთავარია, მშობლებსა და დამრიგებელს შორის აუცილებელია გულწრფელი ურთიერთობა, რადგან ამ შემთხვევაში ორივე მხარე ერთი და იმავე კონკრეტული პიროვნების აღზრდას ვემსაუხრებით, ჩვენი შესაძლებლობები უნდა შევაჯეროთ, რათა შედეგი იყოს მაქსიმალური და დადებითი.

* * *

გულდასაწყვეტია, რომ უფროსკლასელთა ზოგადი შემეცნების დონე საშუალოსაც არ უახლოვდება. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს სადამრიგებლო კლასთან, ამ კუთხით, სერიოზულად ვიმუშაო. მათი ასაკიდან გამომდინარე, აქცენტი თხრობაზე გავაკეთე, ანუ მე მათ ვუამბობ სხვადასხვა თემებზე, რითაც სამომავლოდ ვაინტერესებ, რომ ამ თემებზე თუ მოვლენებზე ინფორმაცია შემდგომ წიგნებით შეივსონ. ასეთი გზით მინდა ისინი ნელ-ნელა მივიყვანო წიგნის კითხვამდე, მინდა კარგი მკითხველები გავზარდო.

* * *

სკოლის გარდა სხვა სამსახურში არ ვმუშაობ, არც ოჯახი მყავს, ამიტომ მოსწავლეებისთვის მეტი დრო მაქვს. მინდა ჩემს მოსწავლეებში ჩავდო მაქსიმუმი, ანუ რაც შემიძლია. წინ მართლაც ბევრი საინტერესო გეგმა მაქვს – მუზეუმები, თეატრები, ექსკურსიები, საინტერესო ღონისძიებები – ეს ყველაფერი მათი ქცევების ადეკვატური იქნება. კარგი ყოფაქცევისთვის და წარმატებული სწავლისთვის აუცილებლად წავახალისებ. რაც მთავარია, ამის სტიმულს სკოლის გარემო მაძლევს. გამიმართლა, 21-ე სკოლაში რომ მოვედი.

* * *

მეოთხეკლასელები – ნიკუშა, ნინო, რამაზი, თათუკა, გიორგი, ნიკა – გიორგი დამრიგებლის შესახებ:

– გიორგი მასწავლებელი ძალიან კარგი ადამიანია, კაც დამრიგებელს ბიჭები განსაკუთრებით კარგად ვუგებთ. მასთან მეგობრობაც შეგვიძლია, რომ დავფიქრდე ვერაფერს დავამატებდი მის თვისებებს, ძალიან შეგვაყვარა თავი. მალე ბაკურიანში წაგვიყვანს სათხილამურო სკოლაში, ეს ძალიან გვიხარია. გასულ კვირას სპექტაკლზე ვიყავით ერთად, მოკლედ, ჩვენთან ბევრ დროს ატარებს.

– დღეს მე მოვიტანე მომზადებული პრეზენტაცია ტაო-კლარჯეთზე. გიორგი მასწავლებელმა დაგვავალა. საინტერესო თემებზე გვესაუბრება. ასეთი დავალებები მომწონს, ისიც ძალიან მომწონს, რასაც გვიყვება ხოლმე, მართლა საინტერესო ადამიანია. ძალიან მინდა გიორგი მასწავლებელმა ქალაქგარეთ წაგვიყვანოს ხოლმე ისტორიული ადგილების მოსანახულებლად ან ზაფხულის არდადეგებზე ერთად დავისვენოთ.

– ძლივს გვეღირსა ასეთი კარგი დამრიგებელი, კაცი დამრიგებელი ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, თან გიორგი მასწავლებელი. ის ძალიან კარგი ადამიანია. 22 დეკემბერს სპორტულ სკოლაში მივყავართ ბაკურიანში, ძალიან მიხარია. სულ ერთი თვეა, რაც ჩვენი დამრიგებელია და უკვე ვმეგობრობთ.

– მას შემდეგ, რაც გიორგი მასწავლებელი ჩვენი დამრიგებელი გახდა, ჩვენი ცხოვრება უკვე საგრძნობლად შეიცვალა. გასულ კვირას თეატრში ვიყავით, მალე ბაკურიანში იგეგმება სათხილამურო სკოლაში წასვლა. საერთოდ, გიორგი მასწავლებელი, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ კონკრეტულ საგანს არ გვასწავლის, ჩვენთან ბევრ დროს ატარებს და მოკლედ რომ ვთქვა, ყველაფერს გვასწავლის, საინტერესოდ გვიყვება რაღაცეებს, თან გვარიგებს ხოლმე, ჩვენც უკვე ვცდილობთ, მისი რჩევები გავითვალისწინოთ.

– სულ ვოცნებობდი, პირველივე კლასიდან, ასეთი მასწავლებელი მყოლოდა და ჩემი სურვილი იქნება, რომ ბოლომდე, სკოლის დამთავრებამდე, ის იყოს ჩვენი დამრიგებელი. ძალიან კარგად გვიგებს, შენიშვნებსაც გვაძლევს, ეს უფრო თავიდან იყო, როცა შეჩვევის პერიოდი გვქონდა. ახლა ისე შეგვიყვარდა და პატივს ვცემთ, ვცდილობთ, ისეთი აღარაფერი დავაშავოთ, რომ გაგვიბრაზდეს და შენიშვნა დავიმსახუროთ.

– ასე დავახასიათებ გიორგი მასწავლებელს: ძალიან კარგი დამრიგებელი გვყავს, მეგობრული ადამიანია, მას შეიძლება, როგორც მეგობარს, ისე მივმართოთ. მოკლედ, გაგვიმართლა.

ინფორმაცია

საჯარო სკოლების მასწავლებლების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის და სხვა სასწავლებლების პედაგოგების დაზღვევას მათთვის სასურველი სადაზღვევო კომპანია უზრუნველყოფს

საჯარო სკოლებსა და სასწავლებლებში სადაზღვევო ვაუჩერების გაცემა დაიწყო. მიღებული სადაზღვევო ვაუჩერით თითოეულ განათლების მუშაკს შესაძლებლობა ეძლევა, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის მისაღებ სადაზღვევო კომპანიაში დაეზღვიოს და საჭიროების შემთხვევაში უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლოს, მათ შორის:

- ოჯახის ექიმის 100%-იანი უფასო მომსახურება, ულიმიტოდ;
- გეგმიური ქირურგიული ოპერაცია, 100%-იანი უფასო მომსახურება 12 ათასი ლარის ფარგლებში;
- გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია 100%-იანი მომსახურება ულიმიტოდ;
- ამბულატორიული მომსახურება 100%-იანი ულიმიტოდ;
- ქიმიოთერაპია და სხვა სხივური თერაპიული მომსახურება, 100%-იანი მომსახურება 12 ათასი ლარის ფარგლებში;

მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები, 100%-იანი მომსახურება 400 ლარის ფარგლებში.

საჯარო სკოლის მასწავლებლები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და სხვა სასწავლებლების პედაგოგები, სადაზღვევო ვაუჩერის მიღების შემდეგ, სასურველ სადაზღვევო ორგანიზაციას 2009 წლის 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეარჩევენ.

ვაუჩერის მფლობელები სადაზღვევო ორგანიზაციის შერჩევის პროცესში თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში. მიუღებელია რაიმე სახით ჩარევა ან ზემოქმედება ბენეფიციარის მიერ თავისუფალი არჩევანის გაკეთების პროცესზე დაწესებულებების ადმინისტრაციებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა მიერ.

ექვსნლიანი სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში, 83 ათასამდე ბენეფიციარისთვის, 2010 წლის ბიუჯეტში 19 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული (თითოეულ პედაგოგზე თვეში 15 ლარის ოდენობით).

ხელახალი სამედიცინო დაზღვევის პროცესი მთავრობის №256 დადგენილების შესაბამისად მიმდინარეობს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სპეციალური ცხელი ხაზი ამოქმედდება. ტელ: (995 32) 43 88 09, 43 88 11

ПРЕЗЕНТАЦИА

ლიტერატურული შედევრები

15 დეკემბერს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გამომცემლობა „ტრიასის“ ახალი პროექტის – „ლიტერატურული შედევრები“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტზე ერთი წელი მუშაობდა გამოცდილ ფილოლოგთა ჯგუფი, ბატონ **გია მურღულიას** ხელმძღვანელობით. ორტომეულში შეტანილია 38 ქართველი და 63 უცხოელი კლასიკოსის ნაწარმოებთა მოკლე შინაარსები. პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა, თუმცა საზღვარგარეთ მსგავსი პროექტების პრაქტიკა დიდი ხანია არსებობს და საკმაოდ წარმატებულადაც ხორციელდება.

ლიკა მესხი, გამომცემლობა „ტრიასის“ დამფუძნებელი: *„ლიტერატურული შედევრების“ ორტომეულის გამოცემის იდეა ერთი წლის წინ დაიბადა. ჩვენი მოტივი მარტივი იყო, გვინდოდა შეგვექმნა ისეთი პროდუქტი, რომელიც მეტ მკითხველს მიიზიდავდა, გაუძლიერებდა სურვილს და ინტერესს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი. საზღვარგარეთის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მსგავსი პროდუქტის გამოცემა ფართო საზოგადოებისთვის მისაღებია და მოთხოვნადი. ვფიქრობ, საქართველოში ასეთი წიგნების გამოცემა მკითხველის დაინტერესებას გამოიწვევს.*

პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ გია მურღულიას, რომლის ხელმძღვანელობითაც შეიქმნა გამოცდილ ფილოლოგთა და მთარგმნელთა შემოქმედებითი ჯგუფი. სწორედ მათ პროფესიონალიზმზე მეტყველებს შერჩევა იმ არაჩვეულებრივი ნაწარმოებებისა, რომლებიც ორტომეულშია შესული. წიგნი ხელმისაწვდომია ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის. ზრდასრულ ადამიანებს წიგნები კიდევ ერთხელ მისცემს საშუალებას თვალი გადაავლონ, გაიხსენონ ადრეულ ასაკში წაკითხული ესა თუ ის ნაწარმოები. მოზარდებს კი „ლიტერატურული შედევრები“ საშუალებას მისცემს, წინასწარ გაეცნონ უცხოური და ქართული ლიტერატურის შედევრების მოკლე შინაარსს“.

გია მურღულია, „ლიტერატურული შედევრების“ გამოცემის შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელი: *„რატომ მოკლე შინაარსი? პირველ რიგში, იმიტომ რომ ეს მსოფლიო ლიტერატურული კულტურის ბუნებრივი გამოხატულებაა და ჩვენ ამის მიღმა არ უნდა დავრჩეთ. მეორე მხრივ, მოკლე შინაარსი გარკვევის საინტერესო მცდელობაა და მკითხველს ძირითადი აქცენტების გაკეთებაში ეხმარება. მესამე მხრივ კი, ეს არის წინასწარი (და სწრაფი!) გაცნობის შესანიშნავი შესაძლებლობა და ლიტერატურის პოპულარიზებას უწყობს ხელს. მოკლე შინაარსი, ცხადია, არ და ვერ ცვლის მხატვრულ ტექსტს. ის მხოლოდ დამხმარე საშუალებაა – ოღონდ საკმაოდ მიმზიდველი. გამოცემა საინტერესო საათებს ჰპირდება ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს“.*

რატი ამაღლობელი, პოეტი: *„ასეთი წიგნის გამოცემა არის პროვოცირება მოზარდის, ახალგაზრდის. იმედია, ეს წიგნი მაპროვოცირებელი იქნება საუკეთესო გაგებით. როდესაც თქვენ თუნდაც მცირე დეტალს მოისმენთ თქვენი მეგობრის თავგადასავლისას, ბუნებრივია, სურვილი გაგიჩნდებათ შეხვდეთ მას და დეტალურად მოისმინოთ მისი თავგადასავალი, პირადი ცხოვრების ისტორია. ასევეა და უფრო მძაფრადაც ლიტერატურაში, როდესაც ჩვენ, გარკვეულწილად, ვეხებით მცირეოდენ ამბავს. რასაკვირველია, ასეთი სახე არ შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურად, მაგრამ ასეთი ფორმა ითვლება ბიძგად, პროვოცირებად და მე ასეთი სახის პროვოკაციები ლიტერატურაში ძალიან მომწონს. წიგნი „ლიტერატურული შედევრები“ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მკითხველი მოზაიკურად ხედავს ლიტერატურულ დროს, იმ სივრცეს, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი. მსგავსი გამოცემები მკითხველს ეხმარება არჩევანის გაკეთებაში, ფიქრსა და ლიტერატურასთან დაახლოებაში“.*

„ლიტერატურული შედევრების“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ: გამოცემის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები, ლიტერატორები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

მისაბაძი მაგალითი

პატრიარქის მოწოდების შემდეგ თბილისში ხეების დარგვის ბუმია, თუმცა დედაქალაქის 133-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ამ აქციაში ცოტა ადრე და თანაც საკუთარი ინიციატივით ჩაებნენ ინტერნეტფორუმ KARAVI.GE-ს წევრებთან ერთად. ამ ფორუმის წევრებმა ხეების დარგვა სასიამოვნო ტრადიციად აქციეს და რამდენიმე წელიწადია, თბილისის შემოგარენში რგავენ, შარშან კი დიდ დიღომში გადმოინაცვლეს. იმ აქციაში აღნიშნული სკოლის პედაგოგმა **ლია სულიკაშვილმაც** მიიღო მონაწილეობა, რომელმაც წლეულს მოსწავლეებიც ჩართო. თვითონ ლია სულიკაშვილს სტუდენტობისას ბევრი უმოგზაურია საქართველოში, განსაკუთრებით კი მის მთიანეთში, კარგად იცნობს თუშეთს, ხევსურეთს, სვანეთს, სხვა კუთხეებსაც და უნდა, მოსწავლეებშიც გააღვივოს სამშობლოს უფრო ახლოს გაცნობის სურვილი, პატარაობიდანვე აქციოს რეალურ პატრიოტებად. სამოგზაუროდ ვერ წავიყვან და ასეთ ღონისძიებებში კი დიდი სიამოვნებით ჩავრთავო, თქვა მან.

მის მოსწავლეებს მსგავს აქციებში ჩასართავად დიდი ხვეწნა არც სჭირდებათ. მეტიც – ჯერ კიდევ გზად მიმავალმა მათ საუბარს მოვკარი ყური, ერთი ეუბნებოდა მეორეს, მე ასეთ ღონისძიებებში უფრო მიხარია მონაწილეობაო. ეტყობა, ამ აზრს სხვებიც იზიარებდნენ, რაც საქმითაც დაამტკიცეს – წვიმას, ტალახს და სიცივეს არ შეუშინდნენ და ძალიან ყოჩაღად, დიდი მონდომებით იმუშავეს ჯერ ხეების დარგვაზე, მერე კი არც მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება დაიზარეს და ნაგავის შეგროვებაშიც იაქტიურეს. იმედია, ისინი ამგვარ ღონისძიებებში მომავალშიც იყოჩაღებენ და უკვე ინიციატივაც მათგან წამოვა.

ვფიქრობთ, კარგი იქნება, ასეთ საყოველთაო აქციებში სხვა სკოლებიც თუ ჩაებმებიან. არჩევანი – იგივე ხეების დარგვა, სკოლის მიმდებარე ტერიტორიის ან რომელიმე ისტორიული ძეგლის დასუფთავება, უბრალოდ – ექსკურსია-ლაშქრობა თბილისის შემოგარენში. ღონისძიების მასშტაბი იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც თავად ფაქტი მოსწავლეთა საზოგადოებრივი შრომისა. ამით მოზარდები ბევრ რამეს მიეჩვევიან – კოლექტიურ საზოგადოებრივ შრომას, ანუ ჩამოუყალიბდებათ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა; იგრძნობენ მოვალეობას საკუთარი ქვეყნის წინაშე; მიხვდებიან, რომ მათი სამშობლო მათივე მოსავლელია და ბავშვობიდანვე მიეჩვევიან მის პატრონობას... საერთო-საზოგადოებრივი საქმიანობა ხომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობაა, უამისოდ კი ნორმალურ, სრულუფლებიან სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. დაგვეთანხმებით, დღევანდელ საზოგადოებაში ამ თვისებების დიდი დეფიციტია. კომუნისტურ საზოგადოებაში აღზრდილმა თაობამ ეს ჩვევები ჩვენ თუ ვერ ვისწავლეთ, მომავალ თაობას მაინც ვასნავლოთ და არ გავიმეოროთ ის შეცდომა, რომელიც ჩვენს აღზრდაში დაუშვეს... იმ კეთილი იდეების განხორციელებაში, რომელიც ამ ბავშვებს აქვთ, შეუძლიათ ისევ საზოგადოებრივ ჯგუფებს იმართონ – იგივე ინტერნეტფორუმ „კარავს“ ან მის მსგავს ფორუმებს, ან – ოფიციალურ სტრუქტურებს. მაგალითად, იმავე კარაველთა გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ხეების დარგვა იქნება თუ დასუფთავების აქცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დედაქალაქის მერია სიამოვნებით დაეხმარებათ. წარმოიდგინეთ – თითოეულმა სკოლამ ყოველწლიურად საკუთარი მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება რომ ითავოს, რამდენად საჭირო საქმეს გააკეთებს!

თუმცა ხეების დარგვის ამ კონკრეტულ ფაქტზე გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ უფროსთა მიერ ჩადენილი ერთი ფაქტის შესახებ, რაც მოზარდებს არცთუ კარგ მაგალითს აძლევს. როგორც გითხარით, კარაველებმა შარშანაც პეტრიწის ქუჩის დასაწყისში დარგეს ნერგები, რომლებსაც პერიოდულად რწყავდნენ, უვლიდნენ... მათი უმეტესობა გახარებული იყო, თუმცა, ამჯერად, ადგილზე მისულებს მხოლოდ რამდენიმე ნერგი დახვდათ... იქ არც გამხმარი ნერგები იყო. აშკარაა – ადგილობრივებმა ან დაუდევრობით გადათელეს, ან – მათთვის მოსახერხებელ ადგილას გადარგეს. თუ მართალი მეორე ვარიანტია, კიდევ არა უშავს – გაფუჭებას მაინც სჯობს, მაგრამ, იმედია, 133-ე სკოლელების დარგული ნერგებიდან უმრავლესობა გაიხარებს და წლების მერე, იმ ტერიტორიაზე ჩავლისას, სიამოვნებით გაიფიქრებენ, რომ ის ხეები მათი დარგულია.

ირაკლი თავაძე

საგანმანათლებლო კერა

სკოლა კი არა – ძეგლი მეტყველი

სკოლა, რომლის შესახებაც უნდა გაიმბოთ, სვანეთის ისტორიის ერთი უმშვენიერესი ფურცელია. იქნებ ვინმეს გაუკვირდეს XIX საუკუნის დასაწყისში, მესტიის რაიონში, პედაგოგიური სასწავლებლის არსებობა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელს უტოლდებოდა, მაგრამ ეს სიმართლეა. ამ სკოლის ისტორია ძალიან საინტერესოა.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, დიდი ხნის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, უფლება მიიღო მესტიის რაიონში გახსნილიყო პედაგოგიური სასწავლებელი, რომლისთვისაც აუცილებელი იყო შენობა. მოგეხსენებათ, მიწას სვანეთში ოქროს ფასი ჰქონდა, რადგან იქაურ გლეხობას არსებობისთვის სხვა არაფერი გააჩნდა. მიუხედავად ამისა, სოფელ ლენჯერის თავკაცებმა მიიღეს პედაგოგიური სასწავლებლის აშენების გადაწყვეტილება. ადგილს, სადაც სკოლა აშენდა „ლაროლი“ ეწოდება, ხოლო მიწის მეპატრონეებმა სანაცვლოდ საეკლესიო მიწები მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მშენებლობისთვის სოფელ ლენჯერს მთავრობისგან არანაირი დახმარება არ მიუღია, მოსახლეობა თავკაცების გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით შეხვდა და 1928 წელს მშენებლობა დაიწყო. მთელი სოფელი დაირაზმა, ხალხი 5-6 კილომეტრის სიშორიდან ეზიდებოდა მარხილით ქვას და ქვიშას, კირქვას და ფიქალს. ტყეში ამზადებდნენ ყავარს, ხელით ხერხავდნენ და რანდავდნენ ფიცარს, ხელოსნები ამზადებდნენ კარ-ფანჯარას. ერთი სიტყვით, ვისაც რა ხელეწიფებოდა, თავს არავინ ზოგავდა.

1830 წელს სკოლის მშენებლობა დასრულდა და პედაგოგიურმა სასწავლებელმა პირველი ნაკადი მიიღო. პირველი საფეხური იყო საბაზო შვიდწლიანი, ხოლო პედაგოგიური სასწავლებელი – სამწლიანი სწავლების კურსით, სადაც თბილისიდან მოწვეული ცნობილი მეცნიერები ასწავლიდნენ. ამ სასწავლებელში მოღვაწეობდნენ **ლეო კვაჭაძე, მაქსიმე ქალდანი, შალვა ბალანჩივაძე, მოსე ფალიანი, ეფრემ გულედანი** და სხვ. პირველი დირექტორი იყო **იოველ ასათიანი**.

პედაგოგიურ სასწავლებელში ძირითადი სასწავლო დისციპლინები იყო: პედაგოგიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, რუსული ენა და ლიტერატურა. სტუდენტები პედაგოგიურ პრაქტიკას საბაზო შვიდწლედში გადიოდნენ.

პედაგოგიურ სასწავლებელში განათლების მისაღებად სვანეთის ყველა სოფლიდან მოდიოდნენ. წარჩინებულ მოსწავლეებს სტიპენდია ეძლეოდათ. კურსდამთავრებულებს კი სამუშაოდ ანაწილებდა განათლების სამინისტრო. სასწავლებელი კადრებს უშვებდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაციით.

1956 წელს პედაგოგიური სასწავლებელი საშუალო სკოლად გადაკეთდა. ამჟამად, ამ უძველეს შენობაში ლენჯერის საჯარო სკოლაა განთავსებული და ღირსეულად აგრძელებს საუკეთესო ტრადიციებს.

ციალა გულედანი
ლენჯერის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინფორმაცია

ქართველი მოსწავლეების მიერ მოთხრობილი იაპონური ზღაპრები

ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ ერთ-ერთია იმ სამი სკოლიდან, სადაც იაპონური ენა ისწავლება.

მოსწავლეები VII კლასიდან შეისწავლიან იაპონურ ენასა და კულტურას, ეუფლებიან ანბანს – ჰირაგანასა და კატაგანას, იეროგლიფებს (დაახლოებით 1500-2000), გრამატიკის საფუძვლებს; ეცნობიან ინფორმაციას იაპონური დამწერლობის, ისტორიული ეპოქების, იაპონიის ძირითადი ქალაქების ისტორიის შესახებ.

სკოლა „ბრიტანიკას“ პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ვიდეომასალას, რომელსაც აზია-აფრიკის ინსტიტუტი აწვდის.

7 დეკემბერს, „ბრიტანიკაში“ IX-XI კლასების მოსწავლეებმა იაპონურ ენაზე წარმოადგინეს ძველი იაპონური ზღაპრები – „მთვარის პრინცესა“ და „ქოთნიანი პრინცესა“ (იაპონური ენის პედაგოგები: **ნინო კელეურიძე** და **თამთა ბოკერია**, მხატვრული გაფორმება – **ლელა არაბული**, ხელოვნების პედაგოგი).

სპექტაკლზე მოწვეული იყვნენ: იაპონიის ელჩი საქართველოში, ბატონი **კამოჰარა მასაიოში** მეუღლესთან, ქალბატონ **კამოჰარა ჯუნკოსთან** ერთად. ასევე, იაპონიის საერთაშორისო საზოგადოების „JACA“ წარმომადგენლები საქართველოში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის თანამშრომლები. სპექტაკლს ესწრებოდნენ იაპონური დეპარტამენტისა და იაპონური ცენტრის წარმომადგენლები, ბატონები: **აზეჩი ისამუ, მურატა კეიში, ცურუტო ჰიროფუმი, მასააკი ნაგატა, ვატანაბე ნორიიუკი**; ქალბატონები: **ინოუე რიცუკო, ტაკარაგავა მასუმი, იანო მიძუე, იოშიკო იამანვი** და სხვ.

წარმოდგენამ სტუმართა დიდი მოწონება დაიმსახურა. მათ ისიც კი აღნიშნეს, რომ 2000-მდე იეროგლიფი ბევრმა იაპონელმაც კი არ იცის.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: **გიორგი შაქარაშვილი, ჯუბი ჩიქოვანი, გიორგი ნარიმანიძე, ნანა ღონღაძე, თათია ჭყოიძე, ლიკა ჭელიძე, მარიამ ფერიშვილი, მარიამ აფციაური, ევგენი ელყანიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, გიორგი გაზაშვილი, ანი ღამბაშიძე, ანი ჯინჭარაძე, ნინო შაქარაშვილი, ელენე სიხარულიძე, ბაჩო კალანდაძე, ქეთი ბზიკაძე, მარიამ მალიძე, ნიკა ჯინჭარაძე, რატი აბუაშვილი** და **მირანგულ მანჯავიძე**.

ნინო საყვარელიძე

იუბილე

შოთა მახარაძე

- 50 -

დახვეწილი ინტელიგენტი, ჩინებული პედაგოგი, ხელმძღვანელი, მეცნიერ-მკვლევარი – ასეთი გახლავთ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **შოთა მახარაძე**. იგი უზომოდაა შეყვარებული საქმეზე, წიგნზე, ლექსზე, მათემატიკის ამოუცნობ სამყაროზე, სიცოცხლეზე. ბუნებამ მას ყველაფერი უხვად მიამადლა. აქვს არაჩვეულებრივი უნარი ადამიანთან ურთიერთობისა, რითაც სტუდენტებს, კოლეგებსა და პედაგოგიურ საზოგადოებას შორის დიდ პატივისცემას იმსახურებს.

შოთა მთის შვილია. იგი შუახევის რაიონის თვალწარმტაც სოფელ მახალაკიძეებში დაიბადა. შრომისმოყვარე ოჯახში იზრდებოდა. მშობლები – **მერი მანელიშვილი-მახარაძისა** და **ისრაფილ მახარაძე** – შრომისმოყვარეობით, გონებაგამჭრიახობით, სტუმართმოყვარეობით გამორჩეული ადამიანები გახლდნენ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. მათ ოჯახში შრომის, წიგნის, ცოდნის კულტი ბატონობდა. ამ კერიდან გამოსული შვიდი შვილი, ორი და და ხუთი ძმა სიკეთედ და სიმდიდრედ შეემატა ქვეყანას.

შოთას გზა ცოდნის ტაძრისაკენ მშობლიური სოფლის სკოლიდან დაიწყო. წარჩინებით დაამთავრა მახალაკიძეების რვაწლიანი და ოლადაურის საშუალო სკოლები. შემდეგ ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. ჯარისკაცის ფარაჯიანმა იმსახურა კამჩატკასა და კურილიის კუნძულებზე. ჩინეთის მისადგომებთანაც მოუწია „სამშობლოს“ საზღვრების დაცვა. ფათერაკები არ დაკლებია, საბრძოლო ნათლობაც მიიღო, დაიჭრა კიდევაც, თუმცა ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. მებრძოლ ჯარისკაცად დარჩა მაინც.

შრომითი ბიოგრაფია ბათუმის სამხედრო გარნიზონის საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის №1 სახლმმართველობის ტექნიკოსობით დაიწყო. მალე მმართველად გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ №10 სამშენებლო ტრესტის ინჟინრად დაანიშნურეს. მის ოცნებებს თანდათან ფრთები ესხმოდა. პარალელურად, საბუთები ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე შეიტანა, მაგრამ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ამ ერთობ უცნაურ ფაქტს შოთა ასე ხსნის: *„მათემატიკა ჩემი ბავშვობის არჩეული საგანი, ოცნება იყო. რაც მაშინ ვერ შევძელი, მოწიფულობისას თავისთავად ამისრულდა, თანაც, ყველა საქმეს თანაბრად ვაკეთებდი, ასეა დღესაც“.*

დღესაც რომ ნამდვილად ასეა, მისი ცხოვრების მომდევნო წლებიდანაც ჩანს. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოზე წარმატებით დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1980-1999 წლებში მუშაობდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამეურნეო, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სასწავლებლებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ამჟამად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბაკალავრიატის მათემატიკის სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია. რამდენიმე თვის განმავლობაში ასრულებდა უნივერსიტეტის კანცლერის მოვალეობას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მოკლე დროშიც ძალიან ბევრის გაკეთება მოასწრო, განსაკუთრებით სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო დათხოვნილ თუ დასათხოვნ სტუდენტთა დასახმარებლად. ერთ რამედ ღირს შოთა მახარაძის თეორიული და პრაქტიკული საკითხებით გაჯერებული შთამაგონებელი ლექციების მოსმენა. მრავალმხრივი ადამიანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალი ტექნოლოგიების, სტრატეგიებისა და ორიენტირების გათვალისწინებით ლექციების მომზადება-ჩატარებას. უპირველესად, სტუდენტებისა და საგნის სიყვარულით, ღრმა ცოდნით, ტაქტით, ინტელიგენტურობით იქცევს ყურადღებას. *„შოთა მასწავლებლის ყოველი ლექცია გამორჩეულია. იგი ოსტატურად ქმნის კეთილგანწყობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის ატმოსფეროს, ზრუნავს იმისათვის, რომ მოგვცეს ფიქრის, განსჯის, გადაწყვეტილების მიღების, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. შევყავართ მათემატიკის ზუსტ, მაგრამ ამოუცნობ სამყაროში და ამ სამყაროს სიყვარულით გვმუხტავს“* – წერს განათლების ფაკულტეტის სტუდენტი **შორენა გორგოშაძე**.

ენთუზიასტ მაძიებელ მეცნიერსა და მკვლევარს უჭრის კალამი, ამის დასტურია მისი ექვსი წიგნი, სამოცზე მეტი ნაშრომი, 50-მდე საგაზეთო ნარკვევი და პუბლიცისტური სტატია. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომების უდიდესი ნაწილი საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების წამყვან ჟურნალებშია გამოქვეყნებული, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი შრომები, ძირითადად, თანამედროვე ალგებრის აქტუალურ საკითხებს ეხება – ნახევარჯგუფთა თეორიას, რომელზეც თავის მასწავლებელთან, ხელმძღვანელსა და კოლეგასთან **იაშა დიასამიძესთან** ერთად მუშაობს. გამოსაცემად გამზადებული აქვს მონოგრაფია რუსულ და ინგლისურ ენებზე. თავადაც ზრდის მომავალ მეცნიერებს.

უდავო ჭეშმარიტებაა ის ფაქტი, რომ მეცნიერის წიგნიერება, განსწავლულობა, ცოდნა-გამოცდილება და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება ყველაზე მეტად საერთაშორისო მეცნიერო კონფერენციებზე წარმოჩნდება ხოლმე. ამ მხრივ შოთა მახარაძე რჩეულთა შორისაა. იგი აქტიურადაა ჩაბმული საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. მრავალთა შორის მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესი პეკინში და სტოკჰოლმში, საერთაშორისო კონფერენცია გეომეტრიასა და ჯგუფთა თეორიაში (ბათუმი), საერთაშორისო ალგებრული კონფერენციები თბილისსა და ბათუმში, მოსკოვში, ეკატერინბურგში, კრასნოიარსკში, ანტალიაში და მათემატიკოსთა ევროპის მეხუთე კონგრესი ამსტერდამში...

ერთი საინტერესო შტრიხიც. 2003 წელს მარეთის ხეობაში გამონათლევის ეკლესია გაიხსნა. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბატონი შოთა და მისი ძმები. ახალგახსნილ ეკლესიაში ხუთივე პირველები მოინათლნენ.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას რეგისტრირებული კავშირის „მარეთი“-ს თავმჯდომარედ ბატონი შოთას თავდაუზოგავ, შემოქმედებით მუშაობაზე – (პირველი თავმჯდომარე იყო პროფესორი **თამაზ ფუტკარაძე**).

კავშირის წევრები სწავლობენ ხეობის ისტორიას, სოციალურ-გეოგრაფიულ ვითარებას, წარმოაჩენენ, პატივს მიაგებენ, ხელს უწყობენ ხეობის წინაშე დამსახურებულ ადამიანებს. დაწესდა სახალხო დღესასწაული „მარეთობა“. „საპატიო მარეთელი“-ს წოდების მინიჭება, ხეობის ფალავნის, გამორჩეული ქველმოქმედის და სხვათა გამოვლენა.

პორტრეტი სრულყოფილი არ იქნება, ორიოდე სიტყვას ჩოხოსნებზე თუ არ ვიტყვით. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი. შესაბამისად შეიქმნა ჩოხოსან რაინდთა აჭარის სადროშო. ბატონი შოთა და მისი ძმა ბატონი **ვლადიმერ მახარაძე** სადროშოს წევრები არიან. ისინი სადროშოს ხელმძღვანელმა, ბათუმისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა **მეუფე დიმიტრიმ** ხინოს მთაზე ასზე მეტ ჩოხოსანთან ერთად აკურთხა, მათი რიცხვი იზრდება. ჩოხოსნები ბევრს აკეთებენ ეროვნული ტრადიციების, ცნობიერების, სახელმწიფოებრიობის გაძლიერება-განმტკიცებისათვის.

კარგი ოჯახისა და გვარიშვილობის წარმომადგენელმა თავადაც კარგი ოჯახი შექმნა. მისი ცხოვრების ერთგული მეგზური და მეგობარი **ნათელა დევაძე** პედაგოგია. მათი ქალ-ვაჟი – ვაჟა და ქეთევანი – სანაქებო მამულიშვილებად შეემატნენ ქვეყანას.

ვულოცავთ ბატონ შოთას დაბადებიდან 50 წლისთავს. დღეგრძელობა, მზრუნველობა, სითბო და სულის მზიანობა არ მოკლებოდეს შემოქმედებითი ცხოვრების დიდ გზაზე.

ნოდარ ბარამიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო ნივერსიტეტის პროფესორი

აკაკი ზოიძე
საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე

იაშა დიასამიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

„მადლიერება – ჩუქურთმა სკოლის...“

2008 წელს 144-ე საჯარო სკოლის დაარსებიდან 40 წელი შესრულდა. შეიქმნა პროექტი, რომელიც გულისხმობდა კურსდამთავრებულთაგან სახსრების მოზიდვას იუბილეს გადასახდელად და პენსიონერი პედაგოგების გასაცილებლად. პროექტისა და წერილების დაგზავნა დაიწყო კიდეც, მაგრამ ამ პროცესს ხელი შეუშალა 2008 წლის აგვისტოს ომმა. სკოლამ ჯერ დევნილ ოჯახებს უმასპინძლა, შემდეგ დევნილ მოსწავლეებს, რომლებიც თითქმის მთელი წელი სწავლობდნენ ჩვენს სკოლაში.

საიუბილეოდ გადმორიცხული მცირე თანხა საგულდაგულოდ შემოვინახეთ და პროექტი, სახე და ფორმატშეცვლილი, რამდენიმე დღის წინ, მაინც განხორციელდა.

სააქტო დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული, გამოფენილი იყო პედაგოგთა ნაქარგები, ნაქსოვები, თექები, ნაკეთობები. სცენაზე დიდი ასოებით ეწერა სიტყვები: *„მადლიერება – ჩუქურთმა სკოლის...“*

დარბაზის ერთ მხარეს, სალონურ მაგიდასთან, წამყვანი იჯდა. დარბაზი სავსე იყო მოსწავლეებით, პედაგოგებით, სამეურვეო საბჭოს წევრებით. აქვე იყვნენ მოწვეული სტუმრები: კრწანისის რაიონის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის წარმომადგენლები, ისანსამგორის კრწანისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე **მერაბ რაფავა**, მუნიციპალიტეტის წევრებთან ერთად; მთაწმინდა-კრწანისის რაიონის რესურსცენტრის სპეციალისტი **სალომე ჯელაძე**; კურსდამთავრებულები, ვინც სკოლას ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ამ დღისთვის. საპატიო ადგილას ისხდნენ ის ღვაწლმოსილი პედაგოგები, ვისაც სკოლა აცილებდა: ქალბატონები – **შუქურა ლომიძე-კოხრეიძე, ციალა ბერაია, ლამარა ნათობიძე, ქეთევან თეთრაშვილი**.

წამყვანი გახლდათ სკოლის დირექტორი **მანანა კიკაჩეიშვილი**, რომელმაც საღამო დაიწყო ღონისძიების სათაურის ახსნით: *„რატომ შევარჩიეთ ეს სათაური თავადაც მიხვდებით თანდათან, საღამოს მიმდინარეობისას.... ჩვენ მაგალითი უნდა ვუჩვენოთ მომავალ თაობას იმისა, თუ როგორ უნდა მივაგოთ პატივი უფროსებს როგორც შინ, ისე გარეთ და მით უფრო საღამზრდელო დაწესებულებაში“.*

ქალბატონმა მანანამ ახსნა, რომ იუბილე არატრადიციულია, ეს არ არის სკოლის გახსნისა და ისტორიის გადმოცემა, ანგარიში და თავმოწონება. *„ვაცილებთ ოთხ პედაგოგს. ისინი ამ სკოლის ისტორიის ცოცხალი მემატიანენი არიან, დაარსების დღიდან – 40 წელია აქ მოღვაწეობენ.*

რატომ მიმყავს საღამო მე?.. მხოლოდ იმიტომ, რომ მეც ეს 40 წელი მაკავშირებს ამ სკოლასთან – ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე სტუდენტობის პერიოდიდან დავუბრუნდი სკოლას – პიონერხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, ქართულის მასწავლებელი და დირექტორი. ამ სკოლის ყოველი მისხალიც კი სულითხორცამდე საყვარელია ჩემთვის.“

ქალბატონმა მანანამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სკოლის პირველი ორგანიზატორის, **ცეცილია იაშვილის** მიერ საიუბილეოდ მომზადებული უზარმაზარი ფოტოალბომი და წერილი-მილოცვა (ქალბატონი ცეცილია ჯანმრთელობის გამო ვერ დაესწრო ღონისძიებას); ყოფილი პედაგოგის, **ნათელა კახიძე-საღირაშვილის** მუსიკალური მისალოცი, მონატრება-წერილი და საკუთარი ლექსი, რომელიც გამოაგზავნა შორეული სალონიკიდან, სადაც სამუშაოდ იმყოფება.

წარმოდგენილი პროგრამით მოწვეულ სტუმრებს სკოლის თანამედროვე ცხოვრება გააცნეს.

ხალხური სიმღერისა და საკრავების წრის წევრმა მოსწავლეებმა კახური შაირები შეასრულეს.

ლამაზი დეკორაციებით გაფორმებული სცენა, იმერული სოფელი... გასულ წელს სკოლამ საინტერესო კვლევითი მუშაობა ჩაატარა, შეიქმნა დავით კლდიაშვილის ვებგვერდი, გაიმართა მისი პრეზენტაცია. სხვადასხვა კლასების მოსწავლეებმა წარმოადგინეს ეპიზოდი „ქამუშაძის გაჭირვებიდან“.

წამყვანმა დაახასიათა ოთხივე პედაგოგი. მადლობა გადაუხადა ოთხივე პედაგოგს ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის. დასძინა, რომ მათ გზა დაუთმეს მომავალ თაობას. ღირსეულად დაასრულეს აქტიური მოღვაწეობა. ისინი ფლობდნენ სხვადასხვა ჯილდოებს, სიგელებს, მათ შორის არის ღირსების ორდენოსანი შუქურა მასწავლებელი. მათ ჰყავთ ღირსეული ცვლა – სკოლას ჰყავს პრეზიდენტის სტიპენდიანტი პედაგოგი და მოუთმენლად ელიან ახალ კონკურსებს სხვა კანდიდატების წარსადგენად. ამაზე მეტყველებს მუშაობის დატვირთული გრაფიკი: პარტნიორობის პროექტი – საჩვენებელი გაკვეთილები სამაჩაბლოს ზემო ნიქოზის პედაგოგებისათვის. ღია გაკვეთილები – მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სკოლების დაწყებითი კლასის პედაგოგებისა და კათედრის ხელმძღვანელებისათვის. რამდენიმე დღეში სამაჩაბლოში საპასუხო ვიზიტი.

სკოლის წარმატებებზე მეტყველებს 5 მედალოსნის, 5 „ჩემი პირველი კომპიუტერის“ არსებობა.

რესურსცენტრის სპეციალისტმა **სალომე ჯელაძემ** მათ საზეიმოდ გადასცა მედლები და ლეპტოპები: ოქრო – **თამარ ნადარეიშვილს**, ვერცხლი – **თამარ ფირანიშვილს, ელისო ბადალაშვილს, რუსუდან ფალავანდიშვილს, დავით მჭედლიშვილს;** ლეპტოპები – **ნონა ხუციას, ანი შუღლიაშვილს, ანა ცერცვაძეს, სალომე დედალამაზიშვილს, ნინო ბაიაშვილს**.

მათ ეს დღე მიულოცა ანსამბლმა „შავნაბადამ“, რომელმაც ქართული ცეკვების მოტრფიალე მრავალი თაობა აღუზარდა სკოლას.

სცენა დაეთმოთ მოსწავლეებს, რომლებმაც წარმოგვიდგინეს მრავალენოვანი უბნის, ორთაჭალის ერთი დღე. ნომერი შეცვალა ხალხური სიმღერების საკრავების წრემ სიმღერით საქართველოზე.

ქალბატონმა მანანამ დამსწრეთ შეახსენა: *„დღევანდელი დღე კურსდამთავრებულთა ხელშეწყობით ტარდება. მათ სიურპრიზი მოვუმზადეთ – გაკეთდა სტენდი სლოგანით: „სიკეთის ნერგებად დავბრუნდეთ!“, სადაც კურსდამთავრებულები ხელს მოაწერენ. აქცია ერთჯერადი არ იქნება, სტენდზე ხელმოწერები გაგრძელდება. ამჯერად ეს პატივი ერგოთ:* ***გუგა კანდელაკს, ნინო ასლანიშვილს, თეიმურაზ*** *და* ***ილია კოხრეიძეებს, ნათია ფერაძეს, გურამ*** *და* ***ეკა ცერცვაძეებს, მამუკა ჯავახიშვილს, ლადო*** *და* ***გია ბაიაშვილებს****.“*

ნინო ასლანიშვილმა პედაგოგებს ლექსი „ტანო ტატანო“ მიუძღვნა. შემდეგ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილი დირექტორების, პედაგოგების, მოსწავლეების ხსოვნას.

VI კლასის მოსწავლემ, **საბა თოდუამ** მხატვრულად წაიკითხა შ. მთვარელიძის ლექსი „მასწავლებელო“. სკოლის პედაგოგებმა უფროს კოლეგებს ქართული სიმღერები უმღერეს.

დირექტორმა ფულადი საჩუქრები გადასცა ღვაწლმოსილ პედაგოგებს. მათ სიტყვით მიმართა ისან-სამგორის რაიონის კრწანისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ, მერაბ რაფავამ, რომელმაც, ასევე, ფულადი საჩუქრები გადასცა პედაგოგებს. ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა მადლობა გადაუხადეს შეკრებილ საზოგადოებას და საღამოს იდეის ავტორს – მანანა კიკაჩეიშვილს.

დასასრულ, სტუმრებს სიურპრიზი ელოდათ – სკოლის დერეფანში, სიმღერის პედაგოგებისა და სხვადასხვა კლასების მოსწავლეთა გუნდის მიერ შესრულებული მრავალჟამიერის ფონზე გაიხსნა საპატიო კუთხე – ოქროსფერი აბრით, ოთხივე პედაგოგის გვარ-სახელებით – „ქედს ვიხრით თქვენი ღვაწლის წინაშე“. დროთა განმავლობაში მათ სხვა გვარები და სახელებიც შეემატება.

ცრემლნარევ სიხარულს ვერ ფარავდნენ პედაგოგები. ბატონმა მერაბ რაფავამ მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს და აღნიშნა, რომ ეს მაგალითი უნდა იყოს სხვა სკოლებისთვის: *„დღევანდელი დღე მართლაც შედგა, მართლაც „მადლიერებაა – ჩუქურთმა სკოლის“...*

შორენა ზარდიაშვილი
დირექტორის მოადგილე
აღმზრდელობით დარგში

ინკლუზიური განათლების საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნების პრეზენტაცია

2008-2009 წლებში ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ინკლუზიური განათლების მიმართულებით ახალი გამოცემები მომზადდა. ესენია:

- „ინკლუზიური განათლება – ვისწავლოთ ერთად“;
- „ჟესტური ენის ლექსიკონი – მოლაპარაკე ხელები“;
- „ინკლუზიური განათლება – გზამკვლევი მასწავლებლებისათვის“.

ინკლუზიური განათლების მიზანია შეზღუდული შესაძლებლების მქონე ყველა ბავშვს მიეცეს თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

ახალ გამოცემებში წარმოდგენილია ის საკითხები, რომლებიც განსაკუთებულ მნიშვნელობას იძენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებისა და მათი სოციალური ინტეგრაციის პროცესში, საუბარია შეზღუდული შესაძლებლების მქონე ადამიანებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე, მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების რეაბილიტაციისა და ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართვის მიზნით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, საქართველოს ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით, გამოსცა პირველი ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი „მოლაპარაკე ხელები“, რომელსაც თან ერთვის სამი DVD-დისკი:

- „ჩემი პირველი ანბანი ჟესტურ ენაზე“;
- „მოლაპარაკე ხელები“;

- ზღაპრები (ჟესტურ ენაზე ითარგმნა: „წითელქუდა“, „ჩექმებიანი კატა“, „კომბლე“ და „ნაცარქექია“).

წიგნები უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს ყველა საჯარო სკოლას, ყველა რესურსცენტრს, ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალიზირებულ სკოლებსა და ინკლუზიურ სკოლებს.

ახალი წიგნების პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე**, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი **ნათია ჯოხაძე**, ეროვნული სასწავლო გეგემებისა და შეფასების ცენტრის ინკლუზიური განათლების მთავარი კონსულტანტი **თათია პაჭკორია**, საქართველოს ყრუთა კავშირის თავმჯდომარე **ამირან ბატატუნაშვილი**.

„სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები. ეს წიგნები დაეხმარება როგორც ბავშვებს, ასევე მათ მშობლებს, პედაგოგებსა და სკოლებს. ახალ წიგნებში ბევრი რეკომენდაცია და ინდივიდუალური მიდგომაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის,“ – აღნიშნა ეროვნული სასწავლო გეგემებისა და შეფასების ცენტრის ინკლუზიური განათლების მთავარმა კონსულტანტმა თათია პაჭკორიამ.

ინკლუზიური განათლების პროექტის განხორციელება საქართველოში 2006 წლის ნოემბერში დაიწყო. ამჟამად საქართველოს მასშტაბით დედაქალაქის 10 და რეგიონების 10 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ინკუზიური განათლების დანერგვა, სასწავლო პროცესში ჩართულია 500-ზე მეტი ბავშვი, გადამზადდა 500-მდე პედაგოგი და მშობელი ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

სპორტი

თანაკლასელები მსოფლიოზე

არც ისე დიდი ხნის წინ ბატუტზე ხტომაში საქართველო ერთ-ერთი წამყვანი იყო მსოფლიოში – ჯერ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში, მერე – დამოუკიდებელი ქვეყნის სახელითაც. მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონ **რუსუდან ხოფერიას** გახსენება რად ღირს, მაგრამ გერმანელთა ოლიმპიური ჩემპიონი **ანა დოღონაძეც** აქაა დაოსტატებული. იყო შემთხვევა, როცა ახალგაზრდებისა და უფროსების მსოფლიოს პირველობაზე საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში 8 ოქროს მედლიდან 7 ქართველებმა მოიპოვეს. სპორტის ეს რომანტიკული სახეობა ოლიმპიური ოჯახის ერთ-ერთი უახლესი წევრია – პეკინში მხოლოდ მესამე თამაშების პროგრამაში შედიოდა. სამწუხაროდ, სამივეჯერ უმედლოდ დავრჩით, მაგრამ ჩვენი კვალი მაინც დავტოვეთ – ათენში ხოფერია ფავორიტად მიიჩნეოდა და პატარა ტექნიკურმა ხარვეზმა დატოვა უმედლოდ, პეკინში კი **ლუბა გოლოვინაზე** იყო ყურადღება მიპყრობილი. ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა – 18 წლის და გარეგნობითაც გამორჩეული სპორტსმენი ხოფერიასავით გამოკვეთილ ფავორიტად არ მიიჩნეოდა, მაგრამ ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი მაინც სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში იყო, როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული. საბოლოოდ გოლოვინა მეოთხეზე გავიდა.

საბედნიეროდ, ქართულ ბატუტს ნიჭიერ მხტომელთა მთელი თაობა ეზრდება, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ ძველების შეცვლა. ამის დასტურად სანქტ პეტერბურგში გამართული მსოფლიოს პირველობა გამოდგა, სადაც გოლოვინას და ეროვნული ნაკრების სხვა ახალგაზრდა წევრებს ამჯერად ხელი მოეცარათ, მაგრამ პატარებმა იყოჩაღეს. განსაკუთრებით – გოგოებმა.

ყველაზე უმცროსთა – 11-12-წლიანთა ტურნირში თბილისის 49-ე საჯარო სკოლის ორი მექვსეკლასელი გამოდიოდა – **ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღლავა** და ორივე ფინალში შევიდა. საკვალიფიკაციო ეტაპი უფრო უკეთ ჯანჯღლავამ შეასრულა და მეოთხე შედეგით დაასრულა, ოდიშვილი კი მეექვსე იყო. ისე მოხდა, რომ ფინალში უფრო უკეთ ოდიშვილი გამოვიდა და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა, რაც საერთაშორისო შეჯიბრებებს მიუჩვეველისთვის კარგი შედეგია. სამწუხაროდ, სამეულში ვერ მოხვდა ჯანჯღლავა – ტექნიკური შეცდომა დაუშვა და მერვეზე დარჩა. საწყენია, მაგრამ ჭკუის სასწავლებელი. მით უფრო, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი** ამბობს, საკვალიფიკაციოში მან მაღალი შეფასება სწორედ ილეთების ტექნიკურად დახვეწილად შესრულების გამო მიიღო. *„ფინალშიც რომ მაღალი ადგილისთვის ებრძოლა, ვარჯიშების სირთულე უნდა გაეზარდა. ვარჯიშებზე გვიჩვენა, რომ ეს შეეძლო და ამიტომაც გავუზარდეთ, მაგრამ იქ შეცდა და მედალი დავკარგეთ. თუმცა მან დაგვანახა, რომ მომავალში წარმატების მოპოვება შეუძლია“* – თქვა სულაშვილმა.

თანაკლასელებს კიდევ ერთი მედლის მოპოვება შეეძლოთ – ისინი სინქრონულ ხტომებშიც ერთად გამოდიან და იქაც კარგად იხტუნავეს, ფინალშიც შევიდნენ, მაგრამ მეოთხეზე დარჩნენ. *„ესენი უმედლოდ გამოუცდელობის გამო დარჩნენ. კიდევ – მიუჩვევლობის გამო. კარგ განათებას მიუჩვეველი გოგოები ამბობენ, შუქი თვალებში გვაჭყიტებდა და ხელს გვიშლიდაო“* – აღნიშნა სულაშვილმა.

სამწუხაროდ, მეოთხე ადგილი დაებედა 14-წლიანთა ტურნირში მოასპარეზე დედაქალაქის 183-ე საჯარო სკოლის IX კლასელ **ნანა გოგაშვილსაც** – საკვალიფიკაციოც მეოთხემ დაასრულა და ფინალიც. თუმცა გოგაშვილი მწვრთნელისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა: *„მისგან ამდენს არ ველოდებოდით, მაგრამ საკვალიფიკაციოში კარგად იხტუნავა და ნამდვილად გაგვახარა. თანაც ფინალში კარგი შედეგით – მეოთხე ადგილით შევიდა. დასანანია, რომ ისიც პატარა შეცდომამ დატოვა უმედლოდ – ბრინჯაოს მედალოსანთან ძალიან ცოტათი წააგო“.*

„ჩვენს ახალგაზრდებს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება აკლიათ. მსოფლიოს ჩემპიონატებში 4-5 წელიწადია, არ გამოვსულვართ, თუმცა როცა გამოვდიოდით, უმედლოდ არასოდეს დავრჩენილვართ. მისასალმებელია, ტრადიცია რომ გრძელდება. გოგოების ნაკრების გამოსვლით კმაყოფილი ვარ იმის მიუხედავად, რომ კიდევ მეტი მედლის მოპოვება შეგვეძლო. განსაკუთრებით აღვნიშნავ ოდიშვილის გამოსვლას – ამ რანგის ტურნირზე მოპოვებული მედალი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა უკმაყოფილო არც სხვების გამოსვლით ვარ. ცხადია, ნიჭიერი მოზარდები არიან, ძალიან კარგი თაობა მოდის, მაგრამ შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობა აუცილებელია, უფრო ხშირი საშეჯიბრო პრაქტიკაა საჭირო. აუცილებელია ვარჯიშების სირთულის გაზრდა, რაშიც მუდამ ლიდერები ვიყავით“ – განაცხადა სულაშვილმა.

სანქტ პეტერბურგში ვაჟთა ნაკრებიც გამოვიდა. იმათგან ყველაზე უკეთ დედაქალაქის მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლემ, **ზურაბ ნოზაძემ** იხტუნავა, რომელიც XIV ადგილზე გავიდა.

კახიანის წარმატება

ქართველი მოფარიკავე გოგონა **დოროთეა კახიანი** წარმატებით გამოვიდა გერმანულ გიოპინგენში გამართულ ჭაბუკთა ევროპის თასის გათამაშებაში – 120 მონაწილეს შორის მერვე ადგილზე გავიდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე 6-დან 4 შეხვედრა მოიგო და ფლეი ოფში გავიდა. საბედნიეროდ, იქაც გააგრძელა წარმატებული სვლა. პირველი ორი წრე რუსთა ძლევას მოანდომა – 1/64-ფინალში **დარია კამიჩეტოვა** დაჯაბნა, 1/32-ში – **ვიქტორია კიუბარკი**. ყველაზე ძლიერი მეტოქე 1/16-ფინალში შეხვდა – ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილი პოლონელი **ანგელიკა ვატორი**, თუმცა კახიანს არც მისი დამარცხება გასჭირვებია. შემდეგ კიდევ ერთი შეხვედრა მოიგო – მერვედფინალში უნგრელ **ლილი დრაშკოსთან**, მეოთხედფინალში კი მისი წარმატებული ასპარეზობა რუსმა **მარია რიდელმა** შეაჩერა, სულ რაღაც ორიოდ ქულით კახიანმა 13:15 წააგო. საბოლოოდ მერვეზე გავიდა, რაც კარგი შედეგია.

გიოპინგენში ჩვენმა ვაჟებმაც იფარიკავეს. მართალია, არა ასეთი წარმატებით, მაგრამ ფლეი ოფში ორივე მოხვდა – **ალექსანდრე ბაზაძე** 1/16-ფინალში დამარცხდა და 27-ე ადგილზე გავიდა, **მიხეილ მარდალეიშვილი** კი 1/32-ფინალიდან გამოვარდა და 39-ზე დარჩა.

პირადი პირველობის შემდეგ ჩვენი მოფარიკავეები გუნდურ პირველობაშიც გამოვიდნენ, ოღონდ აქ სრულყოფილი გუნდის შესაქმნელად ორი უკრაინელიც დაიმატეს. ინტერნაციონალური ნაკრები, 22 მონაწილეს შორის, მეხუთეზე გავიდა.

ძიუდოისტებმა მონაწილეები გაარკვიეს

14-16 აგვისტოს სინგაპური პირველად უმასპინძლებს მსოფლიოს ახალგაზრდების ოლიმპიურ თამაშებს. იქამდე ჯერ დიდი დროა, თუმცა მონაწილეების შერჩევა უკვე მიმდინარეობს. ცოტა უცნაურია კვოტების განაწილება საჭიდაო სახეობებში – ძიუდოში, თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში – ქვეყანაზე მხოლოდ ორი კვოტა. ფედერაციები არც ამ არჩევანში არიან ბოლომდე თავისუფალნი, რადგან მკაცრად ევალებათ გენდერული ბალანსის დაცვა – ორი ფალავანიდან ერთი აუცილებლად გოგო უნდა იყოს. თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში გოგო რომ არ გვეყოლება, აქედანვეა ცნობილი – ქალთა ჭიდაობა ჩვენთან ჯერ კიდევ არაა განვითარებული, ძიუდოში კი ორივე სქესის წარმომადგენელი გვეყოლება – **სოფო ბერიძე** (57) და **ბექა ტუღუში** (60).

ძიუდოისტებისთვის სალიცენზიო ტურნირი ბუდაპეშტში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. იქ ბერიძემ ერთი შეხვედრა მოიგო, ჩვენთვის ისტორიული, რამაც სინგაპურის საგზური მოუტანა. თან მის წინ მდგომთაგან ერთ-ერთმა სინგაპურში წასვლა იუარა. მის კანდიდატურას საბოლოოდ თებერვალში დაამტკიცებენ.

ვაჟებში სინგაპურის საგზური მძიმეწონოსანმა **როსტომ ხახალეიშვილმა** მოიპოვა – მეორეზე გავიდა, თუმცა საქმეში წონის პრობლემა და მამამისი, ოლიმპიური ჩემპიონი **დავით ხახალეიშვილი** ჩაერივნენ და საგზურიც ტულუშს დარჩა. საქმე ისაა, რომ უმცროსი ხახალეიშვილი მონაწილეთათვის დასაშვებ 100 კილოგრამს 20 კილოთი აჭარბებს, ამდენის დაკლება კი მამამ არ ურჩია. ამის შემდეგ მწვრთნელებს ალტერნატივად მხოლოდ ტულუში დარჩათ, რადგან ბუდაპეშტში, ამ ორის გარდა, მედალი სხვას არ მოუპოვებია.

ქართველთა აზერბაიჯანული გამოცდა

ამ უქმეებზე ჩვენმა ჭაბუკ მძლეოსანთა სამკაციანმა ჯგუფმა, ბაქოში, საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა და წარმატებითაც – სამჭიდში **ბაჩანა ხორავამ** გაიმარჯვა, **ლაშა ღულელაური** კი მეშვიდეზე გავიდა. ვერცხლის მედალი მოიპოვა **სალომე აფშილავამ**. სამივე სპორტსმენი სინგაპურში გასამართი მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული თამაშების კანდიდატადაა მიჩნეული, ღულელაურისგან კი მედალსაც ელოდებიან.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.